# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 29 სექტემბერი 1995 № 62 (200) ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაო ტოკიოდან



ზუსტად ერთი თვის წინ ატლანტაში დავით ხახალეიშვილს ვკითხე, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომელ ადგილს გეგმავ-მეთქი. თავმდაბალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბრექია ქართველი სპორტსმენებისგან განსხვავებით, ეს მომიგო: თუ სიტუაციას რეალურად შევხედავთ, ჩემი ამჟამინდელი მომზადების პატრონი ტოკიოში ოლიმპიადის ლიცენზიის მიღებითაც უნდა დაკმაყოფილდესო. ლიცენზიას კი, შეგახსენებთ, პირველი რვა ადგილი იძლევა.

გუშინ დათომ სიტყვა შეასრულა და მეტიც: მძიმე წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა. თბილისში იაპონიიდან ცნობების მიღება, მოგეხსენებათ, რა ძნელიცაა, მაგრამ მრავალი უცხოური საინფორმაციო წყაროებიდან და უცხოელი მეგობარი კოლეგების დახმარებით დათოს გამოსვლის შესახებ შემდეგი ნაზავი ამბები მივიღეთ:

ხახალეიშვილი მესამე წრეში დამარცხდა ან იაპონელ ნაოია ოგავასთან, ან გერმანელ ფრენკ მიოლერთან. შემდეგი შერკინება მას ესტონელ პერტელსონთან ჰქონდა. მეტოქეებმა შეხვედრის განმავლობაში თითო გაფრთხილება — ჩუი მიიღეს, მაგრამ ჩვენს ფალავანს ზურგს ორი იუკო უმაგრებდა — დამთავრებამდე 1,05 წუთით და 18 წამით ადრე დამსახურებულები. მესამე ადგილისთვის შეხვედრა ხახალეიშვილს სამ წუთში წმინდად მოუგია ესპანელი პერესისთვის.

სამწუხაროდ, მევლუდ ლობჟანიძეზე (95 კგ) სასიხარულო ვერაფერი შევიტყვეთ. მის გვარს არათუ პრიზიორებში, პირველ ოქტეტშიაც ვერ მივაკვლიეთ.

მძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგი დავიდ დუიე გახდა, ვინც ფინალში მიოლერის იპონზე დახეთქებით ტიტული შეინარჩუნა. 95 კგ. წონითი კატეგორიის ფინალში რუსი სერგეევი ბოლო წუთამდე გაუძალიანდა პოლონელ ნასტულას, მაგრამ მერე ფეხში შეუშვა და იუკოსთან ერთად ჩემპიონობაც მიართვა.

მერაბ რატიშვილი

**მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში. ტოკიო. 28 სექტემბერი.**

ქალები

მძიმე წონა. 1. ანჟელიკ სერიზი (ჰოლანდია), 2. შან იუნი (ჩინეთი).
72 კგ. 1. ლ. კასტელანო (კუბა), 2. უ. ვერბრუკი (ბელგია).

კაცები

95 კგ. 1. პაველ ნასტულა (პოლონეთი), 2. დმიტრი სერგეევი (რუსეთი), 3. სტეფან ტრენო (საფრანგეთი) და შიგემი ოკაზუმი (იაპონია).
მძიმე წონა. 1. დავიდ დუიე (საფრანგეთი), 2. ფრენკ მიოლერი (გერმანია), 3. ნაოია ოგავა (იაპონია) და

## დავით ხახალეიშვილი (საქართველო)

# 112:100

— გუშინწინ ქუთაისელმა კალათბურთელმა ქალებმა ლილიან რონკეტის თასის პირველ მატჩში დაამარცხეს თურქეთის „ბოთასფორი“ და 4 ოქტომბრის საპასუხო თამაშის წინ იმედიანად არიან

იხილეთ მეხუთე გვერდი



გია ახალაძის ფოტოზე თურქებს უტევს გვანცა ომიაძე, რომელმაც თავადაც შედეგიანად ითამაშა და თანაგუნდელებსაც უამრავი პასი ჩამოურიგა

## საქართველოს ჩემპიონატი

მე-8 ტური

26 სექტემბერი

დინამო 1:0 დილა

27 სექტემბერი

ეგრისი 2:2 კახეთი

გურია 1:2 ივერია

დურუჯი 0:1 შევარდენი
თბილისში

სამტრედია 3:0 მეტალურგი

კოლხეთი 3:2 ტორპედო

სიონი 1:3 მარგვეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 29-5 | 21 |
| მეტალურგი | 8 | 6 | 0 | 2 | 17-8 | 18 |
| კოლხეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-5 | 17 |
| სამტრედია | 6 | 5 | 1 | 0 | 22-8 | 16 |
| ტორპედო | 8 | 5 | 1 | 2 | 22-10 | 16 |
| დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 16-9 | 16 |
| შევარდენი | 8 | 5 | 0 | 3 | 16-10 | 15 |
| დინამო | 5 | 4 | 1 | 0 | 12-2 | 13 |
| ბათუმი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-6 | 11 |
| ზუგდიდი | 6 | 2 | 0 | 4 | 12-16 | 6 |
| ივერია | 8 | 2 | 0 | 6 | 6-16 | 6 |
| კახეთი | 8 | 1 | 2 | 5 | 6-15 | 5 |
| ეგრისი | 8 | 1 | 1 | 6 | 7-19 | 4 |
| სიონი | 8 | 1 | 0 | 7 | 6-23 | 3 |
| გურია | 8 | 1 | 0 | 7 | 3-23 | 3 |
| დურუჯი | 8 | 0 | 1 | 7 | 0-27 | 1 |

# ნაკრები ლიკანში შეიკრიბება

15 ოქტომბერს რაგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) ჩემპიონატის პროგრამით საქართველო გერმანიას უნდა ეთამაშოს ეროვნულ სტადიონზე. ნაკრების მწვრთნელებმა — გურამ მოდებაძემ და დავით კილასონიამ შეადგინეს ნაკრების კანდიდატთა სია. ამ მოთამაშეებს ისინი ლიკანში, საწვრთნელ შეკრებაზე უპირებენ წაყვანას.

**მცველები:** ნ. იურინი (მოსკოვის ფილი); პ. ძოწენიძე (აია); მ. ბესელია, ლ. ჩიქვინიძე, გ. ბუგიანიშვილი (გუმარი); კ. ალანია, ა. ქავთარაშვილი, სპ. ლიპარტელიანი, მ. წეველიძე (თბილისი); ა. საკანდელიძე (ყოჩები); პ. ჯიმშელაძე (აზოტი)

**ნახევარმცველები:** ძმები ძაგნიძეები (აია); კ. მაჩიტიძე, შ. მოდებაძე, შ. ჯანელიძე (გუმარი); ე. იოვაძე (თბილისი); ბ. ტეფნაძე (ყოჩები); ზ. ხუციშვილი (აზოტი)

**პირველი ხაზი:** თ. ტურძელაძე, გ. ფირცხალავა (აია); მ. მთიულიშვილი, ლ. ცაბაძე, ი. ჩიქავა (გუმარი); აკ. მაჭუტაძე, დ. შუბითიძე (თბილისი)

**მეორე ხაზი:** თ. ხუადე, ი. პარწიკანაშვილი, ზ. მჭედლიშვილი (გუმარი); ალ. ღიბრაძე, გ. კაზიანი (თბილისი); დ. გიორგობიანი (გელათი)

**მესამე ხაზი:** ზ. რეხვიაშვილი, ზვ. ლიპარტელიანი (აია); დ. ობოლაძე, ზ. ლეჟავა, ვ. დიდებულიძე (გუმარი); რ. ურუშაძე (ყოჩები)

# „დინამომ“ მორიგი გამოცდა ჩაიბარა



როინ კერძევაძე: მეოთხე მატჩი — მეოთხე გოლი

**„დინამო“ 1:0 „დილა“**

„დინამო“: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, კობიაშვილი, კერძევაძე, მუჯირი (ჯამარაული 46), იაშვილი (ანჩაბაძე 65)

„დილა“: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ჟ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ხ. გაგნიძე, რევაზიშვილი

1:0 კერძევაძე (48)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

არ ვიცი, რას დავაბრალო, გორელთა კარგ თამაშს თუ თბილისელთა უღონობას, მაგრამ ფაქტია: დინამოელებს წლევანდელ სეზონში შინ ისე არავისთან გასჭირვებიათ მოგება, როგორც ეს 26 სექტემბერს გორელებთან. სტუმრები თავიდანვე ყრუ დაცვაში „ჩასხდნენ“, ამ ხაზში ხუთნი გაამწესეს — ბალაშვილი, თარხნიშვილი, ორივე გაგნიძე და ლომიძე. შუახაზში ოთხი მოთამაშე ცდილობდა ცენტრის დაუფლებას და საკმაოდ აქტიურადაც, თავდასხმაში კი ეულად დარჩენილი როინ მარლიშვილი. თავისი და ტრავმირებული ზურაბ ხორგუაშვილის საქმის კეთებასაც ცდილობდა. დინამოელები 4-4-2 სისტემით თამაშობდნენ, წინ კერძევაძე და იაშვილი დააყენეს, მათ უკან — ახალგაზრდა მუჯირი. მასპინძლები პირველივე წუთებიდან შეეცადნენ გორელთა გაძლიერებული დაცვის ფლანგებიდან შევიწროებას. განსაკუთრებით აქტიურობდა კახი გოგიჩაიშვილი, რომელიც მარჯვენა ფლანგზე ირჯებოდა ერთობ სასარგებლოდ, თუმცა, თბილისელებს შეტევის საბოლოო ფაზაში უჭირდათ ხისტად მოთამაშე გორელთა დაცვის დაძლევა. სტუმრები მოედნის ნებისმიერ მონაკვეთზე იბრძოდნენ ბურთისთვის და ეს საქმე საკმაოდ კარგადაც გამოუვიდათ. საერთოდ, ჩემი აზრით, „დილა“ საქართველოს ჩემპიონატში ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც 80-იანი წლების საკავშიროში ასრულებდა მოსკოვის „ტორპედო“, ანუ ცდილობს, მეტოქეს „მისი“ თამაშის საშუალება მოუსპოს. მჭიდრო თამაშით და საქართველოს კვალობაზე კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით გორელებს ეს ხშირად კი გამოსდით, მაგრამ არანაკლები ფიზიკური მომზადებისა და ოდნავ მეტი იმპროვიზაციის მქონე ფეხბურთელებისგან შემდგარ გუნდთან ეს უჭირთ. ამ კომპონენტებით თბილისელები რომ სხვა დანარჩენებს ოდნავზე მეტადაც აღემატებიან, ეს ფაქტია, თუმცა გორელებთან მათი თამაში, მეტი რომ არ ვთქვათ, უფერული იყო. თითქოს იყო ბრძოლა, ალაგ-ალაგ ნორმალური კომბინაციები, მაგრამ არ იყო ის, რითაც ლამაზია ფეხბურთი — სისწრაფე, აზარტი, კარში დარტყმები. შესაძლოა, დინამოელები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი გამარჯვებაში, რომ ზედმეტი გარჯა საჭიროდ არ მიიჩნიეს. პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა და ყველა ელოდა საქართველოს ჩემპიონატისთვის ჩვეულ სურათს — თბილისელები შეხვედრის მეორე ნახევარში დააჩოქებდნენ მეტოქეს. მუჯირის ნაცვლად შემოსულმა ჯამარაულმა მეტი სიმწყობრე შეიტანა დინამოელთა თამაშში და შემოსვლისთანავე მის მიერ წამოწყებული კომბინაცია როინ კერძევაძემ გოლით დააგვირგვინა. საერთოდ, „დინამოში“ გამოჩენის შემდეგ კერძევაძეს თამაში უგოლოდ არ ჩაუმთავრებია. გატანილი ბურთის შემდეგ მასპინძლები ანგარიშის გაზრდას ცდილობდნენ, გორელები კი კონტრშეტევების იმედად იყვნენ. საბოლოოდ, ორივე მხარე ამაოდ დაშვრა — მოედანზე ხეირიანი აღარაფერი მომხდარა. პრაქტიკულად არ იყო კარში შორიდან დარტყმები, რაც, აშკარაა, ჩვენი გუნდების ნაკლია (თუ არ ჩავთვლით ბათუმელთა ბოლოდროინდელ მცდელობებს). თუმცა, ნაკლის ჩამოთვლას რომ შევუდგეთ, ეს შორს წაგვიყვანს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — ჩვენთან კარგ გუნდად ის ითვლება, ვინც „დინამოსთან“ მინიმალური ანგარიშით წააგებს, ლიდერთა 0:3, 0:4, 1:4 მარცხი თბილისელებთან კანონზომიერად ცხადდება და თუ ვინმე უცვლელ ჩემპიონს მოუგებს, ეს უკვე არაადამიანურ გმირობად და სენსაციად აღიქმება. მოკლედ, ასეთი ჩემპიონატის ერთ-ერთი შეხვედრა შედგა თბილისში 26 სექტემბერს, სადაც „დილა“ „მხოლოდ“ 0:1-ით დამარცხდა.

შეხვედრის შემდეგ გორელთა მთავარი მწვრთნელი დავით შავდათუაშვილი ვერ მოვიხელთე და გუნდის ტექნიკურ დირექტორსა და მთავარი მწვრთნელის თანაშემწეს ზურაბ დალაქიშვილს გავესაუბრე:

— თბილისელთა გამარჯვება სავსებით კანონზომიერია — ისინი ჩვენზე ძლიერები არიან, მაგრამ, ვფიქრობ, არც ჩვენ გვითამაშია ურიგოდ. „დილა“ ამ ჩემპიონატისთვის ნორმალურად მოემზადა და ეს როგორც ახლანდელი მწვრთნელის, ასევე სეზონის წინ გუნდიდან წასულ მერაბ კოჭლაშვილის დამსახურებაა. ჩვენი ძირითადი კოზირი ძლიერი ფიზიკური მომზადებაა. თანაც, გუნდი შეთამაშებული და საკმაოდ ახალგაზრდულია. მიუხედავად მინიმალური ანგარიშით მარცხისა, მაინც ვთვლი, რომ დღეს ჩვენი შესაძლებლობის 60 პროცენტი თუ გაჩვენეთ.

— რის ხარჯზე აპირებთ თამაშის ხარისხის გაუმჯობესებას?

— მხოლოდ ერთი პრობლემა გვაწუხებს — ბაზის უქონლობა. ეს საქმე თუ მოვაგვარეთ, ფეხბურთელებთან მუშაობის გაცილებით უკეთესი საშუალება გვექნება და უკეთ თამაშსაც მოვახერხებთ. ჩვენი პრეზიდენტი ნოდარ დალაქიშვილი ამ პრობლემის გადაჭრას კი ცდილობს, მაგრამ, ეულად, ქალაქის ხელმძღვანელთა დაუხმარებლად ეს გაუჭირდება. არადა, სხვაგვარად ცუდ დღეში ჩავვარდებით.

მერაბ მამულაშვილი

ქუთაისის „ტორპედოს“ მშვენიერმა სტარტმა ამ გუნდის და მისი ცალკეული წევრების გაცნობის ბუნებრივი სურვილი წარმოშვა. ჩვენც შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად დაგვეკმაყოფილებინა გულშემატკივართა ინტერესი — გუნდიც გაგაცანით, მწვრთნელიც და ტორპედოელთა ახალგაზრდა ლიდერი მიხეილ აშვეთიასთან ერთად 17 წლის კახა ჩხეტიანზეა, ქუთაისის „ტორპედოსა“ და საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრების ნახევარმცველზე, რომელსაც ნიკა ამირეჯიბმა, არც მეტი, არც ნაკლები, „მოვლენა“ უწოდა ქართულ ფეხბურთში.

# ქებისთვის მადლობა, მაგრამ მე ახლა ვიწყებ...

— ჩემი ასეთი შექებისთვის ულრმესი მადლობა ბატონ ნიკას, მაგრამ, აბა, რა ვთქვა ჩემს თავზე, ჯერ ხომ ახლა ვიწყებ ყველაფერს. მომავალი გამოაჩენს, რამდენად გამართლდება ბატონი ნიკას წინასწარმეტყველება. ერთი კი ნაღდად ვიცი — თავს არ დავზოგავ, არც თამაშზე, არც ვარჯიშზე. სხვათა შორის, ფეხბურთში სწორედ ვარჯიშის გაცდენის გამო მოვხვდი.

— ეგ როგორ?

— ბავშვობაში ჭიდაობაზე დავდიოდი ფრიდონ ჩხარტიშვილთან. თავისუფალს ვჭიდაობდი და, როგორც ამბობდნენ, საკმაო პერსპექტივებიც მქონდა. ქალაქის ჩემპიონიც გავხდი. ერთ მშვენიერ დღესაც ვარჯიში გაგვიცდა და ჩემი ყურადღება იქვე მახლობლად სტადიონზე მოთამაშე ფეხბურთელებმა მიიპყრეს. მივედი და იმათ მწვრთნელებს, ავთო გოზალიშვილს და ზაურ ბზიკაძეს ვთხოვე, თქვენთან მავარჯიშეთ-მეთქი. ასე მოვედი ფეხბურთში 1989 წელს. მერე კი ედუარდ შავგულიძესთან მოვხვდი და რასაც ახლა მიყურებ, იმ კაცის გაზრდილი ვარ.

— ედუარდ შავგულიძე „რწმენაშიც“ თქვენი მწვრთნელი იყო, მაგრამ აშვეთია და ჩხეტიანი საფეხბურთო საქართველომ მაშინ გაიცნო, როცა სოსო ფრუიძემ „სამგურალში“ მიგიწვიათ...

— აბა, მაგას რა დამავიწყებს! ფრუიძისგან ბევრი ვისწავლე, თანაც მარცხენა ნახევარმცველად პირველად მან დამაყენა. ისე, ძალიან დასწყდა გული, როცა ქუთაისის „ტორპედოში“ გადმოვდიოდი. მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, მე ხომ ქუთაისელი ვარ, თანაც რანგით მაღალ გუნდში მიწვევდნენ...

— იმედია, არც „ტორპედო“ იქნება შენი ბოლო „ნავთსაყუდელი“ და შენი თანაგუნდელის, აშვეთიას მსგავსად შენც საბოლოოდ საზღვარგარეთ თამაშზე ოცნებობ...

— რა თქმა უნდა. უმაღლეს დონეზე თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნება უნდა იყოს. მე მინდა ესპანეთში ან იტალიაში გასვლა მოგვინდა. ჩვენი წარმატება ხომ მთელი ქუთაისის წარმატებაა. ვფიქრობ, რომ ასეც იქნება...

— „დინამოსთან“ კი არც ქუთათურთა წინა თაობას გამოსდიოდა რამე, არც თქვენ გამოგივიდათ. შენ არ გითამაშია, მხოლოდ უყურე ამ მატჩს. რა იყო ასე პირწმინდად წაგების მიზეზი?

— რამდენიმე დღით ადრე 18 წლამდე ნაკრები ამავე სტადიონზე „დინამოს“ ვეთამაშეთ. 0:3-ს ვაგებდით და საბოლოოდ 3:3 დავამთავრეთ. მე ამ თამაშში მაჭავარიანთან შეჯახებისას მატჩის მიწურულს ფეხი დავიშავე და „დინამოსთან“ მატჩიც ამიტომ გამოვტოვე. ეს თამაში ასე სამარცხვინოდ არ უნდა წაგვეგო. არცთუ ისე ჩამოვრჩებოდით „დინამოს“. ჩვენები მაინც შიშით გამოვიდნენ, თუმცა პირველ ტაიმში ყველაფერი რიგზე იყო...

— რაკიღა ნაკრები ახსენე, მის შანსებზეც გვითხარი ორიოდ სიტყვა — ამ კვირაში ხომ ავსტრიას მიემგზავრებით...

— ვფიქრობ, ასეთი შანსი არცერთ ნაკრებს არ ჰქონია. ახლა საკმაოდ შეთამაშებულნი ვართ და თანაც, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია, იხეთი მწვრნელები გვყავს ბატონი ნიკას ხელმძღვანელობით, რომ ბოლოსდაბოლოს უნდა გავტეხოთ ნავსი და მოვიპოვოთ შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება. ჩვენი მეტოქეები ჩვენამდე თამაშობენ. ამ მხრივაც უკეთეს მდგომარეობაში ვართ...

— შენს მეგობარ მიხეილ აშვეთიაზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ. იგი შენ საუკეთესო პარტნიორად გასახელებს...

— ასეა. ჩვენ ოთხი წელი ერთად ვართ. როგორც „სამგურალში“, „ტორპედოშიც“ მე მას მარცხნიდან ვეხმარები, ნაკრებში კი ბატონმა ნიკამ ცენტრში დამაყენა და აქედან ვცდილობ პასებით მის მომარაგებას. ჩვენ ძალზე კარგად ვართ შეთამაშებულნი. მიშას გოლის გატანის ჩინებული ალღო აქვს. ეგაა, ჩემსავით მარჯვენა ფეხს ვერ ხმარობს ხეირიანად, მაგრამ ჩვენ ხომ ჯერ



ქუთაისელი „ტყუპები“: კახა ჩხეტიანი (მარცხნივ) და მიხეილ აშვეთია

ვითამაშო და ამისთვის თავს არ დავზოგავ. ჩემთვის უცხოა ვარჯიშზე თავის შენახვა. ჩემი ოცნება, რა თქმა უნდა, ჯერ მხოლოდ ოცნებაა, მაგრამ თუ ყველაფერს გაიღებ, შედეგსაც მიიღებ.

— ვარჯიშიდან თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— უმალ ჩემს საყვარელ გაზეთებს ჩავუჯდები ხოლმე — „ბურთი და მოედანი“, „სარბიელი“, „რეზონანსი“, „ქართული ფეხბურთი“...

— ზედიზედ ექვსმა მოგებამ ალბათ შენც გაგიღვიძა ამ სეზონში წარმატების მადა.

— ასეა. ახლა ყველას ევროტურნირზე ახალგაზრდები ვართ და ალბათ ამ ნაკლსაც გამოვასწორებთ...

— მოკლედ, დიდ ფეხბურთელობაზე ოცნებობ...

— ეგ პირველ რიგში. გარდა ამისა, ჩემი ოცნება ნორმალური ოჯახის შექმნაა. ვფიქრობ, ყველაფერი თავის დროზე მოვა.

მამუკა კვარაცხელია

გადრი კეთილაძის ფოტო

# მარანში თამაშს არაფერი სჯობს

გასულ კვირას საქართველოს პარლამენტართა ჯგუფი სამეგრელოს, კერძოდ აბაშის რაიონის სოფელ მარანს ეწვია . არა, საქმიანი შეხვედრა დაგეგმილი არ ყოფილა, უბრალოდ, პარლამენტარებმა ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გამართეს ადგილობრივ ვეტერანებთან. მართალი გითხრათ, წასვლაზე თავიდან გული მეთანაღრებოდა — თბილისში რა პირობებაა და იქ რა უნდა იყოს-მეთქი, მაგრამ მარანში ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ასეთი სტადიონი, თავისი სათამაშო მინდვრითა და კომფორტულობით, მხოლოდ ორია საქართველოში: ეროვნული თბილისში და ბათუმისა. კომპლექსს მზურნველი ხელი წუთითაც არ აკლდება, რაშიც დიდია თენგიზ კალანდაძის, პაატა გიგინეიშვილის და სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ დამსახურება. სათამაშო მინდორი ახლაც კი მწვანე ხალიჩასავით გამოიყურება, გასახდელებში სისუფთავე და მოხერხებულობა გააკვირვებს მნახველს, აქვეა საუნა, არის ცხელი წყალი, თუ აქაურობას კოსმეტიკურადაც შეალამაზებენ, ნებისმიერი რანგის გუნდის მიღება იქნება შესაძლებელი. სააქციო საზოგადოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ლექსო სტურუამ გვითხრა, ტრიბუნები, ელექტროტაბლო, განათება ყველაფერი მზადაა და მხოლოდ დასამონტაჟებელია. სამოქალაქო ომმა შეგვიშალა ხელი თორემ აქაურობა დიდი ხნის მოწყობილი იქნებოდა, თანაც უმაღლეს დონეზეო. მოკლედ, ვისაც ფეხბურთის თამაში სურს, უკეთეს პირობებს ვერც ინატრებს. ამიტომაა, რომ აქაური საფეხბურთო კლუბი „ანჯელი“ საქართველოს ჩემპიონატის მეორე ჯგუფის გათამაშებაში წარმატებით გამოდის.

მაშ ასე, ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ ადგილობრივი ვეტერანი ფეხბურთელები და პარლამენტის ნაკრები. მაყურებელი იმდენი მოვიდა, ეროვნული ჩემპიონატის ბევრი მატჩი რომ ვერ დაიკვეხნის. მასპინძელთა რიგებში გამოირჩეოდნენ ზურაბ ქორიძე, ლეო გეგეშიძე, აგრეთვე საფეხბურთო კლუბ „სამტრედიის“ პრეზიდენტი ტარიელ ჩაჩუა, სტუმართაგან — გიორგი ლომაძე, ზურაბ ანდრიაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, ზურაბ ანიკაშვილი, გიორგი სიმონიშვილი... თამაში, მონაწილეთა ასაკის მიუხედავად, საკმაოდ დაძაბულად წარიმართა და სტუმართა გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

სამეგრელოში სტუმრის მიღება-დახვედრა არავის ეშლება, მაგრამ ამ დღეს განსაკუთრებული პატივისცემა და სითბო იგრძნობოდა. თამაშით სტუმარიც და მასპინძელიც ნასიამოვნები დარჩა. საბოლოოდ კი ერთხელ კიდევ დადასტურდა ძველი ჭეშმარიტება — არაფერი ისე არ აახლოვებს და ამეგობრებს ადამიანებს, როგორც სპორტი, კერძოდ კი ფეხბურთი.

მამუკა კვანტალიანი

VII ტური, 22 სექტემბერი

**ზუგდიდი 1:3 კოლხეთი**

ზუგდიდი: ნაყოფია, ახვლედიანი, ე. ბერიშვილი, თუთბერიძე, ასლანიშვილი, ჭაჭუა, კვარაცხელია, კუტალია, გაბედავა, გუგუჩია, ლ. ბერიშვილი

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე, (თიბილაშვილი 67), ქობულაძე, გიგატაძე, გოროზია, ლალანიძე (ქუნთელია 88), კიკლიაშვილი, ტორჩინავა, გიორგაძე, ამბიძე, ბულუხია.

0:1 მიქაბერიძე (45), 0:2 მიქაბერიძე (56), 0:3 მიქაბერიძე (59), 1:3 ახვლედიანი (74)

გაფრთხილება: ჭაჭუა

მსაჯი თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ბათუმი 3:1 ეგრისი**

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, მუჯირი, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე (კანტიძე 62)

ეგრისი: ბულია, გოგუა (დანელია 69), ახალაია, ბენდელიანი, ჩხიკვაძე (იოსელიანი 46), ნოდია, შალამბერიძე, რუსია, წულაია, თვარაძე, კალანდაძე

1:0 უჯმაჯურიძე (17), 2:0 მუჯირი (55), 3:0 თორლაშვილი (78), 3:1 თვარაძე (87პ)

მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვალერი გეორგიევიჩი თუ იური პავლოვიჩი?



იური სიომინი



ვალერი გაზაევი

თითქოს გუშინ იყო, „სპარტაკ-ალანია" თორმეტი ქულით რომ უსწრებდა „დანარჩენ რუსეთს" და ვლადიკავკაზშიც იმასღა ფიქრობდნენ, ჩემპიონატის დამთავრებამდე რამდენი ტურით ადრე შეამკობდნენ თავიანთი კერპების თავებს დაფნის გვირგვინებით. მაგრამ მოსკოვის „ლოკომოტივმა ისე აინყვიტა, ორივე „სპარტაკს" მოუგო, ამათ კიდევ სხვებიც მიაყოლა, ზედიზედ თერთმეტი მოგებით რუსეთის ჩემპიონატის ალბათ განუმეორებელი რეკორდი დაამყარა და ჩემპიონატის დასასრულამდე ოთხი ტურით სხვაობა ვლადიკავკაზელებთან 3 ქულამდე შეამცირა. ახლა ერთი წაფორხილებაც და შესაძლოა რუსეთის მესამე ჩემპიონატში დაგეგმილი 240 მატჩის ნაცვლად 241 ჩატარდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონატს „სპარტაკ-ალანია" და „ლოკომოტივი" ქულათა თანაბარი რაოდენობით დაასრულებენ.

ახლა ჯერ მეტოქეთა დარჩენილი თამაშები ვნახოთ, შემდეგ კი განვლილ 26-ე ტურზე ვთქვათ...

„სპარტაკ-ალანია" 30 სექტემბერს კამიშინში ეთამაშება „ტექსტილშჩიკს" (რომელსაც ლიგაში დარჩენა გარანტირებული აქვს და მეტის პრეტენზია არცა აქვს), 14 ოქტომბერს შინ „დინ. გაზს" მიიღებს (ამ დროისთვის ტიუმენელები უკვე გავარდნილები იქნებიან ლიგიდან), 21 ოქტომბერს ყველაზე მძიმე თამაში ელით მოსკოვში ცესკასთან (რომელიც ევროთასებზე გასასვლელად იბრძვის) და ბოლო ტურში ვლადიკავკაზელები შინ „კამაზს" უმასპინძლებენ. ასე რომ, „სპარტაკ-ალანიას" 9 ქულის აღება ნაღდად შეუძლია. სეზონის ბოლოს, მითუმეტეს, რომ უეფას თასიდანაც გავარდნილნი არიან, ვლადიკავკაზელები, ცხადია, ყველა ღონეს იხმარენ და ჩემპიონობის შანსს ძნელად თუ გაუშვებენ ხელიდან.

ახლა მოსკოვის „ლოკომოტივზე". „სიომინის ბიჭებს" ასეთი განრიგი აქვთ: 30 სექტემბერს ნიჟნი ნოვგოროდში ხვდებიან თანაკლუბელებს, 14 ოქტომბერს შინ „ურალმაშს", 21-ში სტუმრად „კრილია სოვეტოვს", ბოლო ტურში მოსკოვის „დინამოს". ეს უკანასკნელი ბესკოვის წასვლის შემდეგ ისე მოყოჩაღდა, ოთხიდან ოთხი მატჩი მოიგო (ბურთები 11-2) და კვლავ გაუჩნდა ევროთასებზე მოხვედრის შანსი. უკეთეს შემთხვევაში დინამოელები ცესკას აჯობებენ, მეხუთე ადგილს დაიკავებენ და თუ გაისად თასი ამ საუკეთესო ხუთეულიდან ერთ-ერთმა აიღო, ევროთასებზეც გამოვლენ. დინამოელებს ჩინებული კალენდარი აქვთ და ალბათ ბოლომდე იბრძოლებენ, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მათ მთავარი მწვრთნელი არა ჰყავთ და მის მოვალეობას ასევე მხცოვანი, 62 წლის ადამას გოლოდეცი ასრულებს.

ამათ ფონზე აუტსაიდერებზე საუბარი იმდღაა საინტერესო, რომ იქ ქართველები თამაშობენ, თორემ „დინამო-გაზოვიკს" რჩევე აქვს „დაჯავშნული" ადგილი პირველ ლიგაში, როგორც „იქაურ" ლიდერს, კალინინგრადის „„ბალტიკას" — უმაღლესში. აფხაზი რუსლან და ბესლან აჯინჯალების და ლიგის საუკეთესო ბომბარდირის სერგეი ბულატოვის (23 გოლი) ჩინებული თამაშის წყალობით „ბალტიკამ" 8 ტურით ადრე (!) გაინაღდა უმაღლესის საგზური.

რაც შეეხება დევაძის და გუჯაბიძის „როსტსელმაშს", გუნდმა კარგა ხანია ამოყვინთა და თუ მაზეგ ცესკას მოუგო, ოფიციალურადაც გააფორმებს ლიგაში დარჩენას. 26-ე ტურში მოსკოვში „ტორპედოსთან" ბოლო წუთზე დევაძე თავქუდმოგლეჯილი გაქცეულა მეტოქის საჯარიმოსკენ, რაკილა მისი გუნდი 0:1 აგებდა, მაგრამ ზედიზედ ორმა კუთხურმა როსტოველებს არაფერი შესძინა და ვერც დევაძემ მოახერხა თავდასხმაში თავის გამოჩენა.

მამუკა კვარაცხელია

დამთავრებამდე 4 ტურით ადრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი | 26 | 19 | 4 | 3 | 56-20 | 61 |
| ლოკომოტივი | 26 | 18 | 4 | 4 | 45-21 | 58 |
| სპარტაკი | 26 | 15 | 6 | 5 | 62-23 | 51 |
| ტორპედო | 26 | 15 | 6 | 5 | 35-24 | 51 |
| ცსკა | 26 | 14 | 5 | 7 | 49-28 | 47 |
| დინამო | 26 | 13 | 7 | 6 | 36-25 | 46 |
| როტორი | 26 | 11 | 5 | 10 | 57-41 | 38 |
| კამაზი | 26 | 9 | 7 | 10 | 31-26 | 34 |
| ტექსტილშჩიკი | 26 | 8 | 6 | 12 | 33-36 | 30 |
| ჩერნომორეცი | 26 | 9 | 2 | 15 | 28-51 | 29 |
| ურალმაში | 26 | 8 | 3 | 15 | 30-43 | 27 |
| ჟემჩუჟინა | 26 | 8 | 3 | 15 | 29-59 | 27 |
| ნიჟ.ნოვგოროდი | 26 | 5 | 9 | 12 | 24-37 | 24 |
| როსტსელმაში | 26 | 6 | 4 | 16 | 30-51 | 22 |
| კრ სოვეტოვი | 26 | 5 | 7 | 14 | 29-55 | 22 |
| გაზოვიკი | 26 | 3 | 6 | 17 | 27-61 | 15 |

# უდანაკარგო ესპანეთი დარჩა

უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის ოცდათორმეტი შეხვედრიდან სამშაბათს, 26 სექტემბერს გაიმართა ოცდარვა, რომელთაგან საუკეთესო ქართველმა გულშემატკივარმა რუსეთის პირველი არხით იხილა. „ლივერპულის" და ვლადიკავკაზის „სპარტაკ ალანიას" თამაში საუკეთესოდ იმიტომ როდი შევრაცხეთ, რომ ოსეთის გუნდში საქართველოს ნაკრების წევრი მურთაზ შელია თამაშობდა. გვერწმუნეთ, არაფერს ვაზვიადებთ, ცხადია, ამაზე უკეთესი მატჩებიც არსებობს, მაგრამ იმ დღეს „ენფილდ როუდზე" ვიხილეთ სწრაფი, ჟინიანი შეხვედრა, სადაც ფეხბურთელები ოსტატურად ირჯებოდნენ, თავგამოდებით იბრძოდნენ და ცალკეულ ეპიზოდებში საოცრად ეფექტურად თამაშობდნენ. ლივერპულელი სტივ მაკმანამანი ნამდვილი ვარსკვლავია. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს პლასტიკური და ტექნიკური მოთამაშე ძლიერ პატარა ფართობზეც არ იბნევა და ბურთის უზადოდ ფლობისა და სისწრაფის წყალობით ლამაზად ატყუებს შემოხვეულ მეტოქეებს, მას იმ დღეს, ვგონებთ, ერთხელაც არ მიუწოდებია უზუსტო პასი. ახლა გამძლეობას და შეუპოვრობას აღარ იკითხავთ?! სტუმართა მხრიდან კი, ჩვენდა სასიხარულოდ, დიდებულად თამაშობდა მურთაზ შელია. მურთაზმა დაამტკიცა, რომ სწრაფ და მკაცრ მატჩებშიც შეიძლება, რომ ქართველმა ფეხბურთელმა გაიბრწყინოს. საქართველოს ეროვნული ნაკრების მოთამაშემ ტოლი არავის არაფერში დაუდო. ორთაბრძოლა იქნებოდა, თავით თამაში, შეტევაში მონაწილეობა თუ შორიდან დარტყმა, თუკი ვინმე თავისას იტყოდა, იქ შელიასაც უნდა დაეყოლებინა. მშვენივრად ითამაშა ომარ თეთრაძემაც.

რაკი რუსეთის გუნდით დავიწყეთ, მეორეც ვახსენოთ. „სპრტაკ-ალანიას" ქვეყნის პირველობაზე ტიტულს მოსკოვის „ლოკომოტივი" ეცილება და ამ მოცილეს იმ დღეს, ოსეთის გუნდის მეტოქისა არ იყოს, მეტად ტიტულოვან გუნდთან მიუნხენის „ბაიერნთან" ჰქონდა საქმე გასარკვევი. პირველ თამაშში, როგორც გახსოვთ, მოსკოველებმა სენსაცია მოახდინეს და გერმანიის ჩემპიონატის ლიდერს მიუნხენში მოუგეს 1:0. ასეთი წინაპირობის შემდეგ საქმე თითქოს „ლოკომოტივის" სასარგებლოდაც შეიძლებოდა წარმართულიყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე არავინ ფიქრობდა. ბავარიელები კი არა, თბილისური ტოტალიზატორის მეფსონეებიც არ ფიქრობდნენ, რადგან უმრავლესობას გერმანიის მოგებაზე ჰქონდა ფული დადებული. „ბაიერნმა" პირველივე წუთიდან დაიწყო და საბრალო მოსკოველ რკინიგზელებს საქმე შესვენებამდე მოუმთავრა. თავიდან „ლოკომოტივი" თითქოს აზერხებდა სახიფათო კონტრშეტევების მოწყობას, მაგრამ მას მერე, რაც კლინსმანმა 25-ე წუთზე პირველი გოლი გაიტანა, ყველაფერი ნათელი გახდა. „ლოკომოტივის" უმწეობა მოსკოველთა სტადიონის პროჟექტორებმაც ვერ აიტანეს და ორჯერ, ერთხელ პირველი ტაიმის, მეორედ კი მეორეს ბოლოს ჩაქრნენ. სენსაცია მოახდინა ვოლგოგრადის „როტორმა", რომელიც ნაქებ „მანჩესტერ იუნაიტედს" 2:2 ეთამაშა და გაავლო. გერმანელთაგან „ბაიერნის" მსგავსად პირველი თამაშის მარცხი გამოასწორა „კაიზერსლაუტერნმა", რომელმაც შინ „სლოვანს" 3:0 მოუგო და შემდეგ ეტაპზე გავიდა. ვერ იყოჩაღა „ფრაიბურგმა": „სლავიასთან" შინ წაგებული ჰქონდა (1:2), სტუმრად კი უგოლო ფრეულა მოახერხა.



სტივ მაკმანამანი არც ინგლისელებს ინდობს და არც ოსები დაინდო

უდანაკარგოდ ვერც იტალიელები გადარჩნენ. „ინტერს" თითქოს შვეიცარიულ „ლუგანოსთან" მოგება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ გაჭირვებას ვინ ჩივის, საერთოდ წააგო. ეს იყო მილანის გუნდის ახალი მწვრთნელის ლუის სუარესის დებიუტი. ოტავიო ბიანკის შემცვლელმა, ალბათ, ახალ გუნდს ჯერ ალღო ვერ აუღო, რადგან „ინტერმა" იმდენად უინტერესო და უსახური ფეხბურთი ითამაშა, რომ აღსაწერადაც ძნელია. ერთადერთი, რისი მოყოლაც შეიძლება, გოლია, რომელიც იტალიელებმა თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე გაუშვეს. კარასკოს დარტყმული პალიუკას, ხუმრობით რომ იტყვიან, ყურებში გაუძვრა. მილანის მეორე გუნდმა „მილანმა" კი პოლონეთში „ზაგლებიეს" 4:1 მოუგო. მასპინძლებმა ეს თამაში დღის ორის ნახევარზე დანიშნეს, მაგრამ სავიჩევიჩი, ბაჯო, ბობანი, ბარეზი და ძმანი მათნი თუ გინდა ღამის ოთხზე ათამაშე... „რომამ" „ქსამაქსი" დაამარცხა 4:0. არანაირი შტურმი და განსაკუთრებული ძალისხმევა ამ მატჩში არ ყოფილა. რომაელებმა, უბრალოდ, მაღალი კლასის წყალობით მოიგეს. ამ შეხვედრაში ორი ძლიერ ლამაზი გოლი გავიდა. პირველი ბალბომ გაიტანა, მეორე, მასზე უკეთესი — ფონსეკამ.

მინსკმა ვენის „აუსტრიამ", რომელსაც შინ პირველ თამაშში 1:2 ჰქონდა წაგებული, ბევრი კი იჯაჯგურა, მაგრამ ბელარუსებმა ტოლი არ დაუდეს, მსაჯის სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე კონტრშეტევაზეც გამოიჭირეს და ბელკევიჩის გოლით მოუგეს. ჩვენი ყოფილი „მოძმეებიდან" ივაჟკაცა ოდესის „ჩერნომორეცმაც". ოდესელებმა ბოლომდე იბრძოლეს და თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მიხალჩუკის გოლით საქმე დამატებით დრომდე მიიყვანეს. ზედმეტმა ნახევარმა საათმა ძლიერი ვერ გამოავლინა, პენალტებში კი უკრაინელებმა იმძლავრეს 6:5.

განახლებულმა „ბარსელონამ" პირველი 7:0-ის შემდეგ ახლა შინ მოუღო ბოლო ისრაელის „ჰაპოელს". „რეალ ბეტისმა" კი, რომელსაც წინა თამაშში გამვებული გოლის ავტორი პიერი აკლდა, შინ 2:0 სძლია ბრაზილიელი მწვრთნელის ალბერტო პარეირას „ფენერბაჩეს" და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

პაპუნა კედია

**უეფას თასი. ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 26 სექტემბერი.**

ზაგლებიე (პოლონეთი) — მილანი (იტალია) 1:4 (0:4)
კრუიჟანოვსკი (72); ერანიო (53), სიმონე (63), ბობანი (86, 90)
მარიბორი (სლოვენია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 1:3 (0:2)
ბარსელონა (ესპანეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) 5:0 (7:0)
გვარდიოლა (12), ჰაჯი (27), ტონი (51), კარერასი (61), ამორი (65)
ომონია (კვიპროსი) — ლაციო (იტალია) 1:2 (0:5)
სურუპასი (68); კაზირაგი (14), დი ვაიო (75)
სტანდარდი (ბელგია) — გიმარაეში (პორტუგალია) 0:0 (1:3)
ბეტისი (ესპანეთი) — ფენერბაჩე (თურქეთი) 2:0 (2:1)
ალესისი, კანიასი
მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) — როტორი (რუსეთი) 2:2 (0:0)
პ.ს.ვ. ეინდჰოვენი (ჰოლანდია) — მიუპა-47 (ფინეთი) 7:1 (1:1)
სილკებორგი (დანია) — სპარტა (ჩეხეთი) 1:2 (1:0)
ბენფიკა (პორტუგალია) — ლიერსი (ბელგია) 2:1 (3:1)
ჟოაუ პინტუ (24), კენედი (60), ვან კერკჰოვენი (33)
რომა (იტალია) — ქსამაქსი (შვეიცარია) 4:0 (1:1)
ბალბო (27, 36), ფონსეკა (33), რუედა (58 საკუთარ კარში)
ბოტევი (ბულგარეთი) — სევილია (ესპანეთი) 1:1 (0:2)
მარკოვი; მონჩუ
ოლიმპია (სლოვენია) — როდა (ჰოლანდია) 2:0 (0:5)
ლოკომოტივი (რუსეთი) — ბაიერნი (გერმანია) 0:5 (1:0)
კლინსმანი (25, 34), ჰერცოგი (38), შოლი (45), შტრუნცი (78)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) — აუსტრია (ავსტრია) 1:0 (2:1)
ბელკევიჩი (90)
ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) — მალმიო (შვედეთი) 1:0 (1:2)
ვიძევი (პოლონეთი) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) 0:1 (0:0 დ.დ) პ 5:6 (1:0)
მიხალჩუკი (80)
ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — მონაკო (საფრანგეთი) 0:1 (3:0)
ლილესტრიომი (ნორვეგია) — ბრონდბიუ (დანია) 0:0 (0:3)
აკრანესი (ისლანდია) — რეით როვერსი (შოტლანდია) 1:0 (1:3)
სლავია (ჩეხეთი) — ფრაიბურგი (გერმანია) 0:0 (2:1)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — სლოვანი (სლოვაკეთი) 3:0 (1:2)
ინტერი (იტალია) — ლუგანო (შვეიცარია) 0:1 (1:1)
კარასკო (85)
ლიონი (საფრანგეთი) — ფარენსე (პორტუგალია) 1:0 (1:0)
აალტსი (ბელგია) — ლევსკი (ბულგარეთი) 1:0 (2:1)
ოსერი (საფრანგეთი) — ვიკინგი (ნორვეგია) 1:0 (1:1)
ლივერპული (ინგლისი) — სპარტაკ-ალანია (რუსეთი) 0:0 (2:1)
რ.ა.ფ. (ლატვია) — ზიმბრუ (მოლდოვა) 1:2 (0:1)

# წინანი წინ და ბლექბერნი უკან


იარი ლიტმანენი

თავიდან თითქოს ორი თანაბარი გუნდის ბრძოლა გაჩაღდა. ვიალის, რავანელის, თმაგაკრეჭილ დელ პიეროსა და მის თანაგუნდელებს ლეკეტუში, ვლადოიუ, ილიე და სხვა ბუქარესტელები ეთამაშებოდნენ და იუვენტუსელთა მომენტების წილ თავისასაც ქმნიდნენ. იტალიელი ფორვარდები ნელ-ნელა მიზანს ასწორებდნენ, სტუმართაგან კი იონ ვლადოიუს ჭარბ ენერგიას არ ჰქონდა საზღვარი. ასე გაგრძელდა 35-ე წუთამდე, როდესაც მოსახდენი მოხდა — დი ლივიომ ანგარიში გახსნა, რასაც ოთხ წუთში ალესანდრო დელ პიერომ ისეთი მეორე გოლი მიაყოლა, რომ კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რატომ ადარებენ მას რობერტო ბაჯოს. საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან დელ პიერომ ჯერ მცველის მოტყუება განიზრახა, მაგრამ უცებ შენიშნა, რომ დარტყმა უპრიანი იქნებოდა და „სტიაუასა“ და რუმინეთის ნაკრების მეკარეს ბოგდან სტელიას მარცხენა მაღალ კუთხეში ვირტუოზულად დაურტყა. თუკი დი ლივიომ და დელ პიერომ გოლები გაიტანეს, ფაბრიციო რავანელიმ პირველ ტაიმში ზუსტად დარტყმა ვერაფრით მოახერხა. ჭაღარა თავდამსხმელმა მეორე ნახევრის მეოთხე წუთზელა მოისვენა, როდესაც ხოტორა ჯანლუკა ვიალიმ მარჯვნიდან შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, მან კი თავურით 3:0 გახადა. „იუვენტუსი“, როგორც ჩანს, გოლის გატანით გახარების ახლებურ ფორმებსაც ეძებს. პირველ გოლზე, გეგონებოდათ, რაღაც დაჩოქილი ხორუმის მაგვარს შეასრულებენო, მესამეზე კი რავანელიმ, როგორც სჩვევია, ჯერ საკუთარი მაისური წამოიცვა თავზე, შემდეგ კი ვიალისკენ გაქანდა და მის ფეხებთან გასრიალდა. ამის შემდეგ აღსანიშნავი არაფერი ყოფილა აქეთ-იქით კანტიკუნტი მომენტების გარდა. „იუვესა“ და „სტიაუას“ ჯგუფის მეორე წყვილი „გლაზგო რეინჯერსი“ და დორტმუნდის „ბორუსია“ გლაზგოში შეიბნენ. დორტმუნდი, როგორც ჩანს, საუკეთესო ფორმაში ვერ არის, ეს ორი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილზე თვალის ერთი შევლებითაც მარტივად ჩანს. გერმანიის ჩემპიონს მეოთხე ადგილზე ყოფნა არ ეკადრება. „რეინჯერსი“ კი, მრთალია, სეზონის წინ ბევრს ხმაურობდა, პოლ გასკოინი შევიძინეთ, ბრინ ლაუდრუპი გვყავს, სხვებიც ძლიერები არიან და ახლა ნახეთ, რა ბდღვირი ვადინოთო, ის გუნდი ვერ არის, „ბორუსიას“ რომ აჯობოს. ანგარიში სტუმრებმა 19-ე წუთზე გახსნეს. ეს გერმანელთა ამომავალმა ვარსკვლავმა ჰაიკო ჰერლიხმა შეასრულა. გასათანაბრებლად შოტლანდიელებს მთელი ორმოცდაოთხი წუთი დასჭირდათ, გოლი მასპინძელთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა გაფმა გაიტანა. ვინძლო ამ დროს გლაზგოელებმა გაიფიქრეს, რაკილა გავათანაბრეთ, იქნებ მოგებაზეც გვეფიქრაო, მაგრამ დორტმუნდელმა კრეემ ისინი ხუთ წუთში ადრინდელ განწყობაზე დააყენა — არიქა, ბიჭო, გასათანაბრებელი გვაქვსო. გაათანაბრეს კიდეც, გოლი 73-ე წუთზე ფეხნატკენი ბრიან ლაუდრუპის ნაცვლად მეორე ტაიმში შესულმა იან ფერგიუსონმა შეაგდო. ამ თამაშში, რომელიც სანახავად მაინცდამაინც არ ვარგოდა, მეტი გოლი აღარ გასულა.

მადრიდის „რეალმა“ პირველ ტურში ამსტერდამში „აიაქსთან“ დამარცხების შემდეგ მდგომარეობა გამოისწორა. შვეიცარიის ჩემპიონი „გრასჰოპერი“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 69-ე წუთამდე ვაჟკაცურად იდგა, მაგრამ ბოლო ოცდაერთ წუთს ველარ გაუძლო და ორი გოლი გაუშვა. ორივე ჩილელმა ბომბარდირმა ივან სამორანომ გაიტანა. „აიაქსმა“ კი პირველ მოგებას ზედ მეორეც დააყოლა. „ფერენცვაროში“, რომელმაც პირველ თამაშში შვეიცარიაში „გრასჰოპერს“ 3:0 მოუგო, ალბათ იმედიანად იყო და გულში დიდ გეგმებსაც აწყობდა, მაგრამ ამსტერდამელთა კლასმა თავისი გაიტანა და მერე როგორ. პირველი ტაიმი და მეორეს თორმეტი წუთი მოედანზე დიდი არაფერი ხდებოდა, მაგრამ 57-ზე გოლთაცვენა რომ დაიწყო, ბოლო წამამდე გაგრძელდა. ანგარიში იარი ლიტმანენმა გახსნა, რომლისთვისაც ისეთი მდგომარეობიდან გოლის გატანა, სხვა ხელს რომ ჩაიქნევდა, ჩვეული ამბავია. აიაქსელებმა ხეირიანად გახარებაც ვერ მოასწრეს, რომ უნგრელთა მიერ ცენტრიდან დაწყებული შეტევა მათ კარში პენალტით და ნილაშის გოლით დაგვირგვინდა, მაგრამ მასპინძელთა მხრივ ეს იყო და ეს. 67-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა კლუვერტმა წინ კვლავ „აიაქსი“ გაიყვანა, რასაც ლიტმანენმა კიდევ ორი და ფრანკ დებურმა ერთი გოლი მიაყოლეს.

მსაჯისთვის ქრთამის შეთავაზება, მოგეხსენებათ, კიევის „დინამოს“ ძვირად დაუჯდა, დანიის „ოლბორგმა“ კი გაიხარა. დისკვალიფიცირებული უკრაინის ჩემპიონის ნაცვლად პორტუში კიეველთაგან წინასწარ წრეში დამარცხებული დანიის ჩემპიონი ჩავიდა. დანიელებს, 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დისკვალიფიცირებული გუნდების ნაცვლად შეჯიბრებაში ზეზეულად ჩართვა კარგად უნდა ჰქონდეთ დაცდილი. ვნახოთ, რა მოხდება ჩემპიონთა ლიგაში (რაც უნდა მოხდეს, „ოლბორგის“ სალაროში კარგი ფული შევა), თუმცა „ოლბორგმა“ ჯერჯერობით წაგებით დაიწყო. რუი ბარუშის ორ გოლს დანიელების მარცხი და „პორტუს“ გამარჯვება მოჰყვა შედეგად. ამავე ჯგუფში „პანათინაიკოსმა“, რომელსაც კიევის დასჯამ ასევე საუცხოო საქმე გაუკეთა — პირველი წაგებული თამაში გაუუქმა — „ნანტს“ უმასპინძლა და 3:1 მოუგო. ჟან კლოდ სიუდო და მისი ბიჭები გასულ სეზონში საფრანგეთის ჩემპიონები კი გახდნენ, მაგრამ ალბათ ჩემპიონთა ლიგაში „პარი სენ ჟერმენს“ ღირსეულად ვერ შეცვლიან.

მოსკოვის „სპარტაკმა“ პოლონეთის ჩემპიონი „ლეგია“ მიიღო. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სანახავად დიდად თვალსასეირო არ გახლდათ, მაგრამ, ეტყობა, მოსკოველებმა მეორე მოგებით მეოთხედფინალში გასვლას ამთავითვე ჩაუყარეს საფუძველი. ვარშავის გუნდი დაცვაში უხეშად ცდებოდა, რაც ორ გოლად დაუჯდა (შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო), შეტევაში კი ფანტაზიისმაგვარი არაფერი გამოუვლენია. ინგლისის ჩემპიონი „ბლექბერნ როვერსი“, რომელიც ჯგუფის ერთ-ერთ ფავორიტად იმიტომ ითვლებოდა, რომ ინგლისიდან იყო, ინგლისური კლუბები კი ოდესღაც ევროპას აზანზარებდნენ, ჯერჯერობით „დონორის“ მოვალეობას ასრულებს. ოთხშაბათს, ნორვეგიაში მან მორიგი სამი ქულა გასცა.

პაპუნა კედია

### ჩემპიონთა ლიგა

II ტური. 27 სექტემბერი

**„ა“ ჯგუფი**

პანათინაიკოსი — ნანტი 3:1

პორტუ — ოლბორგი 2:0

რუი ბარუში (42, 63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 4 |
| პანათინაიკოსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| ნანტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| ოლბორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

**„ბ“ ჯგუფი**

სპარტაკი — ლეგია 2:1

ნიკიფოროვი (14), იურანი (52); იუჟვიაკი (82)

რუსენბორგი — ბლექბერნი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| ლეგია | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| ბლექბერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

**„გ“ ჯგუფი**

იუვენტუსი — სტიაუა 3:0

დი ლივიო (35), დელ პიერო (39), რავანელი (49)

გლაზგო რეინჯერსი — დორტმუნდი

გაფი (63) ფერგიუსონი (73); პერლიხი (19), კრეე (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| სტიაუა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| რეინჯერსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| დორტმუნდი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |

**„დ“ ჯგუფი**

რეალი — გრასჰოპერი 2:0

სამორანო (69, 89)

ფერენცვაროში — აიაქსი 1:5

ნილაში (59 პ); ლიტმანენი (57, 80, 90), კლუვერტი (67), ფ. დე ბური (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| რეალი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| ფერენცვაროში | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| გრასჰოპერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

**უეფას თასი**

**ოცდამეთორმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 27.09**

ვერდერი (გერმანია) — გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) 5:0 (2:0)

ავენირი (ლუქსემბურგი) — ლანსი (საფრანგეთი) 0:7 (0:6)

შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსის“ მოთამაშე მარკ ჰეიტლი ინგლისის პრემიერლიგაში, კერძოდ, „ქვინზ პარკ რეინჯერსში“ გადავიდა.

იტალიაში „ინტერი“ გაძლიერებაზე ფიქრობს. საამისოდ კლუბის პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ გამოცვალა მწვრთნელი. ოტავიო ბიანკის ნაცვლად ახლა გუნდს ლუის სუარესი გაწვრთნის. „ინტერის“ გეგმები ამით არ ამოწურულა. მოგეხსენებათ, მათ დიდი ხანია სურთ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და საფრანგეთის ნაკრების ფორვარდის ერიკ კანტონას გადაბირება. 30 სექტემბერს კანტონას დისკვალიფიკაციის ვადა გასდის. მილანის გუნდის წარმომადგენლები აპირებენ მანჩესტერში ჩასვლას და „იუნაიტედთან“ ხელახალი მოლაპარაკების დაწყებას.

შვედი ლენარტ იუჰანსონი, რომელიც დღეს უეფას პრეზიდენტია, ამ თანამდებობით დაკმაყოფილებას არ აპირებს. მან ოფიციალურად განაცხადა ის, რასაც აქამდე ყველა კარგად ხვდებოდა, კერძოდ, 1998 წლიდან ფიფას პრეზიდენტის ჟოაო ავილანჟის პოსტის დაკავების სურვილი. იუჰანსონს მსოფლიო ფეხბურთის სტრუქტურებში დიდი ცვლილებები აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ საკუთრივ ევროპაში დიდი პრობლემის — „ბოსმანის საქმის“ წინაშე დგას. მოსალოდნელია, რომ ფიფას პრეზიდენტის თანამდებობას მას ზეპ ბლატერი შეეცილება.

კოლუმბიელი თავდამსხმელი ფაუსტინო ასპრილია თავის კლუბს „პარმას“, როგორც ჩანს, საბოლოოდ შეურიგდა. გეხსომებათ, ზაფხულში ფეხბურთელმა კატეგორიული უარი განაცხადა ნევიო სკალას გუნდში დარჩენაზე, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და ბედს შეურიგდა. ამასწინათ მან ვარჯიშზე დაიგვიანა, რის გამოც უსაყვედურეს. შეურაცხყოფილმა ასპრილიამ დიდი აყალმაყალი ასტეხა. „პარმას“ ხელმძღვანელებმა მოთამაშეს იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში უჩივლეს, მაგრამ შემდეგ საქმე ჩაიფარცხა. ახალშერიგებულები ამბობენ, მეტი ჩხუბი აღარ მოგვივაო.

ინგლისის გუნდები გაისად შესაძლოა უეფას თასზე აღარ დაუშვან. ამ ქვეყნის კლუბების მხრივ „ინტერტოტოს თასის“ აბუჩად აგდება უეფამ ძლიერ იწყინა, რის თაობაზეც ლენარტ იუჰანსონმა თბილისში ყოფნის დროს გამართულ პრესკონფერენციაზეც ისაუბრა.

გერმანულ კლუბებს ერთი საინტერესო წესი აქვთ. ვარჯიშზე ყველა ბურთი დანომრილია და ცნობილია, ვინ არის მასზე პასუხისმგებელი. ბუნდესლიგის „ჰანზაში“, მაგალითად, თუ ბურთი დაიკარგა, მოთამაშე, რომელსაც იგი აბარია, 60 მარკით ჯარიმდება. „ჰანზას“ გულშემატკივრებს ახალ სეზონში უკვე მოუსწრიათ შტეფან ბაუმბერგის ბურთის მოპარვა.

## ინგლისი

VII ტურის გვიანი მატჩი: ქვინზ პარკ რეინჯერსი — ტოტენჰემ ჰოტსპური 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 7 | 6 | 0 | 1 | 14-3 | 18 |
| მანჩესტერი | 7 | 5 | 1 | 1 | 14-8 | 16 |
| ლივერპული | 7 | 5 | 0 | 2 | 13-5 | 15 |
| არსენალი | 7 | 4 | 3 | 0 | 10-4 | 15 |
| ასტონვილა | 7 | 4 | 2 | 1 | 9-4 | 14 |
| ლიდსი | 7 | 4 | 0 | 3 | 12-9 | 12 |
| მიდლსბრო | 7 | 3 | 3 | 1 | 7-4 | 12 |
| ნოტინგემი | 7 | 2 | 5 | 0 | 11-9 | 11 |
| ტოტენჰემი | 7 | 3 | 2 | 2 | 11-10 | 11 |
| ჩელსი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-7 | 9 |
| უიმბლდონი | 7 | 3 | 0 | 9 | 12-13 | 9 |
| შეფილდი | 7 | 2 | 2 | 3 | 8-9 | 8 |
| ბლექბერნი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-11 | 7 |
| ევერტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-10 | 7 |
| ქუინზ პარკი | 7 | 2 | 0 | 5 | 6-12 | 6 |
| ქოვენთრი | 7 | 1 | 3 | 3 | 7-14 | 6 |
| ვერტ ჰემი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| საუთჰემპტონი | 7 | 1 | 2 | 4 | 7-14 | 5 |
| ბოლტონი | 7 | 1 | 1 | 5 | 8-17 | 4 |
| მანჩესტერ სიტი | 7 | 0 | 1 | 6 | 3-11 | 1 |

## ფეხბურთის რეპასთან



არგენტინელმა დიეგო მარადონამ, მოგეხსენებათ, დააფუძნა ფეხბურთელთა ახალი პროფკავშირი — პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია“. ორგანიზაცია, რომელიც დამაარსებლის თქმით, პარიზში დაიდებს ბინას, მაგრამ ჯერ წესდება ან სხვა რამ ოფიციალური დოკუმენტი არ მიუღია, სერიოზულად აპირებს მსოფლიოს საფეხბურთო მეურნეობაში ჩარევას. კერძოდ, ასოციაციას სურს, რომ მასთან შეუთანხმებლად არ შეიცვალოს თამაშის ესა თუ ის წესი, მოიხსნას ყოველგვარი შეზღუდვა ევროტრანსფერებზე, გადაისინჯოს შეჯიბრებათა ჩატარების ვადები და სხვა. ფიფა, ფრთხილად მიუდგა ახალ ორგანიზაციას და განაცხადა, რომ სიამოვნებით ითანამშრომლებს მასთან, ოღონდ ჯერ მის შესახებ მხოლოდ გაზეთებიდან იცის, რაიმე დოკუმენტი კი არ უნახავს.

საფრანგეთის „მეცის“ მოთამაშით, 21 წლის რობერ პირესით ევროპის უძლიერესი კლუბები დაინტერესდნენ. შემტევი ნახევარმცველის თამაშის სანახავად საფრანგეთში რამდენჯერმე ჩავიდა „ბენფიკას“ წარმომადგენელი, ცნობები მადრიდის „რეალმაც“ შეაგროვა, ტურინის „იუვენტუსმა“ კი ამასწინათ „მეცისა“ და „მონაკოს“ შეხვედრაზე სერიოზული დელეგაცია გააგზავნა. ტურინელების წარგზავნილებს თავად კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ლუჩანო მოგი თავკაცობდა. ჯერჯერობით „მეცი“ მოთამაშის გაყიდვას არ აპირებს. პირესს „მეცთან“ 1998 წლამდე აქვს კონტრაქტი დადებული.

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ პრეზიდენტმა ალან შუგარმა კვლავ შეუშვა „უაით ჰართ ლეინის“ სტადიონზე. საქმე ის გახლავთ, რომ ორი წლის წინ ვენეიბლზი „ტოტენჰემის“ აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა, მაგრამ ფინანსურ სკანდალში გაეხვა. სასამართლომ, რომელიც თავად ვენეიბლზის სარჩელის გამო წამოიწყო, იგი გაამტყუნა და ალან შუგარმა მას სტადიონზე შესვლაც კი აუკრძალა. ახლა, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის თავკაცმა ბერტ მილიჩიპმა შუგარს საგანგებო თხოვნით მიმართა და ვენეიბლზი კვლავ შეუშვეს სტადიონზე.

გერმანიაში „ვერდერის“ მოთამაშეს ვლადიმირ ბესჩასტნიხს პრობლემები აქვს: იგი ვერაფრით შეეწყო ბრემენელთა ახალ მწვრთნელს ჰოლანდიელ აად დე მოსს. ბესჩასტნიხმა „ბილდის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ჯერ ერთი, ახლა მას ლეგიონერებთან ბაიანოსთან, კარდოსოსთან და რამზისთან კონკურენციაში გამარჯვების შანსი არა აქვს, მეორეც, არ შეუძლია დე მოსის მხრიდან მისი უგულებელყოფის ატანა. უეფას თასის შეხვედრაში „გლენავონის“ წინააღმდეგ ბესჩასტნიხი ჰოლანდიელთა მწვრთნელმა მეთორმეტე წუთზე შეცვალა, რაც რუსმა შეურაცხყოფად მიიღო.

ბრაზილიაში ფლამინგოს თავდამსხმელებმა ცნობილმა რომარიომ და ედმუნდომ ჩაწერეს სიმღერა „ჩვენზე ამბობენ, რომ ცუდები ვართ“. ჩანაწერი დიდი ტირაჟით გაიყიდა. რაც შეეხება რიო დე ჟანეიროს ცნობილ სტადიონს „მარაკანას“, ქალაქის მერიამ იგი შეიძლება ვინმე კერძო პირს მიჰყიდოს.


## საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 02

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 8.10 | ბეტისი — ბარსელონა | ესპ. ჩემპ. |
| 2 | 8.10 | ატლეტიკი — სევილია | ესპ. ჩემპ. |
| 3 | 8.10 | ესპანიოლი — სპორტინგი | ესპ. ჩემპ. |
| 4 | 8.10 | რეალი — კომპოსტელა | ესპ. ჩემპ. |
| 5 | 8.10 | ხორვატია — იტალია | ევრ. შეს. |
| 6 | 8.10 | გერმანია — მოლდოვა | ევრ. შეს. |
| 7 | 8.10 | ლიტვა — ესტონეთი | ევრ. შეს. |

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 7 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.


უტევს ლია ჩეკურიშვილი

# ჩვენ გავიხარეთ, იმათ არ ეშინიათ

როგორც იქნა, მოვესწარით, რომ რომელიღაც ქართველმა გუნდმა სპორტის რომელიღაც სახეობაში მეტოქე აშკარად დაჩაგრა და თამაში უპრობლემოდ მოიგო. მატჩზე მოსული უთუოდ გაიფიქრ-გაიკვირვებდა: ნუთუ ეს ჩვენი გუნდია, ეგრევე რომ დაწინაურდა და მდევრად ქცეულ მეტოქეს იქით კარნახობს სათამაშო პირობებსო. ქუთაისის "მეობამ" ბრწყინვალედ ჩაატა, რა შეხვედრა და ცოტა გამოცდილებაც რომ ჰქონოდა, საპასუხო მატჩისთვის მთლად დაიმედებული გაემგზავრებოდა თურქეთს.

მოვლენებს გავუსწრებთ და შევახსენებთ, რომ ქართველთაგან საუკეთესო მოთამაშედ გვანცა ომიაძე სცნეს. ამ კალათბურთელის წვლილს და შრომას მხოლოდ ბრმა თუ ვერ დაინახავდა, მაგრამ ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, ამ ტიტულს ხუთად გავყოფდით და სასტარტო შემადგენლობაზე გადავანაწილებდით. „მეობამ" გუნდურად ითამაშა და ყველაფერში აჯობა თურქ ქალებს. ამით ქართველმა გულშემატკივარმა ცოტა თვალში გამოიხედა, რადგან ბოლო დროს ჩვენს გუნდებს, ყველა სახეობაში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ვისაც არ დაეზარა, ყველამ მოუგო.

ქუთაისელები მხოლოდ უფულობაში ჩამოუვარდებიან "ბოთასფორს". ამის დასტური გუშინწინ მოედანზე გენერალივით დადიოდა — ცენტრი ადრიან-ენ ვიკერსი. ეს ამერიკიდან გადმოხვეწილი მოთამაშე რომ არ ჰყავდეთ, ადანელებს საქართველოს ჩემპიონატის სამეულში გაუჭირდებოდათ მოხვედრა. ვიკერსს, დიდ ფულს ვუხდითო — გვითხრეს სტუმრებმა — ოღონდ რამდენს, არ დაუკონკრეტებიათ. ბენდენათი თავწაკრული, აბსტრაქტული "ნაკოლკით" მარცხენა მკლავდამშვენებული ზანგის მთა-ქალი ხარჯებს სავსებით ამართლებს. მის თამაშში კაცთა კალათბურთის ბევრი ელემენტი შეიმჩნევა, განსაკუთრებით ფარზე ბრძოლისას. თანაგუნდელებისთვის კი ნამდვილი ბელადია — კარგი თამაშის გარდა ისე უცაცხანებდა თავისიანებს, ამ უკანასკნელთ, რომ არ ნდომოდათ, მაინც სრულად გამოავლენდნენ შესაძლებლობებს. ხოლო თუ რის გამკეთებელია ვიკერსი მოედანზე, ამაზე მატჩის ტექნიკური ოქმიც კარგად მეტყველებს.

ქუთაისელებმა თავიდანვე მკაცრი პრესინგი დაუწესეს მეტოქეს და უკვე მესამე წუთზე 10:2 იგებდნენ. შემდეგ კი ოდნავ ამჩატდნენ, მოუმზადებელი სროლები დაიწყეს და თურქები ოთხი ქულით დაიახლოვეს. ამაზე მეტად „ბოთასფორს" ანგარიში აღარ შეუმცირებია, ჩვენებმა კი პირველი ნოკდაუნი გაუხერხეს მას: კუპრაშვილმა ორი სამქულიანით დაიწყო სამწუთიანი მონაკვეთი, რომლის ბოლოს ანგარიში 25:8 გახდა, ხოლო ფინალური 30 წამი ქართველებმა 7:0 მოიგეს.

ამგვარი მაღალი ტემპის გაძლება კაცებისთვისაც ძნელია და ქალები რომ დაღლილიყვნენ, რა გასაკვირია. ამას კი უპირველოდ მოყვება ხოლმე შეცდომები დაცვაში. ვიკერსმა უხვად არიგა პერსონალურები — ფურცელაძე მოედნიდან გაიყვანა, ხოლო კუპრაიშვილსა და კუპატაძეს ოთხი-ოთხის მიღებაში წაეხმარა. კვლავ გონს მოსულმა მეობელებმა პასებით დაიწყეს თამაში, ერთთავად ფარქვეშ შეჰქონდათ ბურთი და უკვე ჩეკურიშვილის ჯერიც დადგა — შესვენებამდე ხუთი წუთით ადრე ამერიკელს მეოთხე პერსონალური მიაღებინა.

ისიც იყო, კუპატაძე მეოთხეჯერ დაჯარიმდა და თურქებს მეორე ნოკდაუნიც გაუმზადა: ცხრაქულიანი სხვაობისას მან ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო. მეტოქეთაგან ყველა დაიბნა, ცხადია, ამერიკელის გარდა — მან რამდენიც ფარის სიახლოვეს მიიღო ბურთი, იმდენი ჩააგდო. ამიტომაც იყო ტაიმი და საერთოდ, თამაში მაღალშედეგიანი. პრეს-ლოჟის წინ მჯდარმა პაატა გურასპაულმაც კი ვერ დაფარა განცვიფრება — ოცი წელიწადია კალათბურთში ვარ და ამგვარი მაღალი ჩაგდების პროცენტი (ორივე გუნდიდან) ჯერ არ მინახავსო.

შესვენების შემდგომი ხუთი წუთი კი ომიაძისა და ჩეკურიშვილის ბენეფისად იქცა. პირველმა გონივრულად და ეფექტურად გაანაწილა პასები და თითქმის ყველა თანაგუნდელი ფართან მარტო დატოვა. მეორემ კი ფარქვეშ იწყო თამაში და გავარდნის შიშით შეპყრობილ ვიკერსს რასაც სურდა, იმას უკეთებდა. სხვაობა უცბად ავარდა 21 ქულამდე, მაგრამ სამწუხაროდ ამ მაგიურ რიცხვს ჩვენებმა ველარაფრით გადააჭარბეს.

მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ თურქის სხვა დედაკაცებსაც შესძლებიათ თამაში. ორ წუთში ქარაბიიქმა ზედიზედ ორი სამქულიანი და ერთი სწრაფი გარღვევა გაახერხა. ბუიურანმა საშუალო მანძილიდან სროლას გაუგო გემო, ხოლო თურქანი ნაყოფიერად შეეშველა ფარზე ბრძოლაში მარტოდ მყოფ ვიკერსს. დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე ჩვენები 93:82 იგებდნენ და როცა მათ რიგებში პატარა დაბნეულობის ნიშნები გაჩნდა სიტყვა ომიაძემ აიღო.

განცამ ზედიზედ ორი გარბენი გააკეთებინა მეტოქეებს, ბურთი ჩაჭრა, ქუშქოლმაზი მოედნიდან გააგდო, ორი საჯარიმო გამოიყენა და მომდევნო შეტევაში სამქულიანი მიითვალა. მართალია, ქარაბიიქი ვალში არ დარჩენილა, მაგრამ მალე ის მოხდა, რასაც ყველა მოუთმენლად ელოდა — ბუილიშვილმა ვიკერსი დააჯარიმა და სკამისკენ გაუშვა.

ვინ იცის იქნებ სჯობდა, ამერიკელი მოედანზე დარჩენილიყო. ჩვენები ამ დროს 18 ქულას იგებდნენ და ვიკერსი გარეთ რომ დაიგულეს, ცოტათი მოეშვნენ. რალაც ჭირად ჩეკურიშვილმა სწორედ ამ დროს მიიღო ფეხის ტრავმა ფარზე ბრძოლისას და დარჩენილ წუთნახევარში თურქების შეჩერება შეუძლებელი გახდა. ქარაბიიქმა კვლავ შორიდან ივარგა, ბუიურანმა გარღვევა შეასრულა და სირენამ ჩვენების 12 ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა.

გულშემატკივრებს ცოტათი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაუჩნდათ. ალბათ არ გაემტყუნებათ, რადგან, როცა ორჯერ 21 ქულით იგებ, სხვაობის გაზრდა თუ არა, შენარჩუნება მაინც მოგეთხოვება... მაგრამ, მოდით, ერთი დღით უკან დავბრუნდეთ: იფიქრებდა კი ვინმე, რომ "მეობა" აბსოლუტურად უცნობ გუნდს საერთოდ მოუგებდა?! ჩემი დაკვირვებით, ამისა მხოლოდ მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს სჯეროდა, გულშემატკივართა და სპეციალისტთა უმრავლესობა კი თურქების გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. ცხადია, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით მოგება უკეთესია, მაგრამ 12 ქულით, და საერთოდ, გამარჯვება რით არის ნაკლები? თამაშით „ბოთასფორი" ჩვენი გუნდის ამდენით მომგები არ არის. ხოლო თუ განმეორებით მატჩში სხვა ფაქტორები ამუშავდნენ (აქედანვე შევეჩვიოთ, რომ ორივე მსაჯი თურქებს აშკარად მიუდგება, ხოლო იქაური კომისარიც შენიშვნის ნაცვლად მხარს აუბამს). მაშინ 12-იანი კი არა 32 ქულიანი მარაგიც ვერაფერს გვიშველის.

მერაბ რატიშვილი

გია ახალაძის ფოტოები

| რონკეტის თასი. II წრე. I მატჩი<br>მეობა (ქუთაისი) — ბოთასფორი (ადანა) 112:100 (63:51)<br>სპორტის სასახლე. 27 სექტემბერი. 1 500 მაყურებელი<br>მსაჯები: ვ. დავიდიავიჩუსი (ლიტვა), ი. იაკოვლევი (მოლდოვა) | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მეობა | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 6 ომიაძე | 19 | — | 6 | 6 | — | 5 | 5 | 2 |
| 5 კუპატაძე | 26 | 6 | 2 | 1 | — | 1 | 1 | 4 |
| 13 კუპრაშვილი | 12 | 5 | 3 | 3 | — | 4 | 3 | 4 |
| 9 ბუილიშვილი | 15 | 10 | 3 | — | — | 9 | 4 | 3 |
| 14 ჩეკურიშვილი | 29 | 13 | — | 1 | — | 10 | 7 | 4 |
| 11 ფურცელაძე | 4 | 3 | — | — | — | — | — | 5 |
| 10 კაკაურიძე | 7 | 5 | — | — | — | 7 | 3 | 3 |
| სულ | 112 | 42 | 14 | 11 | — | 36 | 23 | 25 |
| ბოთასფორი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფ. არ. | საჯარიმო სულ | საჯარიმო + | ფოლი |
| 9 ბუიურანი | 28 | 4 | 1 | 2 | — | 12 | 5 | 2 |
| 10 ვიკერსი | 20 | 19 | 1 | 4 | 1 | 9 | 6 | 5 |
| 11 ქუშქოლმაზი | 10 | 2 | — | — | — | — | — | 5 |
| 12 ქარაბიიქი | 25 | 2 | 4 | 3 | — | 6 | 4 | 4 |
| 13 ალთაი | 9 | 6 | — | 3 | — | 4 | 1 | 2 |
| 7 თურქმენი | 2 | 1 | — | — | — | — | — | 1 |
| 15 თურქანი | 6 | 8 | — | 1 | — | 2 | 2 | 4 |
| სულ | 100 | 42 | 6 | 13 | 1 | 33 | 18 | 23 |



### ჯეიპუნ ილდიზოღლუ, "ბოთასფორი"

— რატომ ათამაშდნენ თქვენი დანარჩენი კალათბურთელები მხოლოდ მეორე ტაიმში?

— პირველ ტაიმში მსაჯობა ძალიან ცუდი იყო, იმ მხრივ, რომ ნებისმიერ წვრილმანის გულისათვის ჯარიმებს იძლეოდნენ. ჩვენები შეშინდნენ და ამიტომ არაფერი არ გამოუვიდათ. შესვენებაზე დავაწყნარე ბავშვები და ვუთხარი, რაც გინდათ გააკეთეთ, მსაჯობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ-მეთქი.

**— 12 ქულით წაგებამ, ვნახე, რომ გაგახარათ...**

— უცნობ გუნდთან, უცნობ სიტუაციაში და უცნობ დარბაზში თამაშის პირობაზე კარგი შედეგია. ადანაში სავსე დარბაზი დაგვიჭერს მხარს. ფსიქოლოგიური უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნება.

**— ესე იგი, საპასუხო შეხვედრაში მოგებას გეგმავთ?**

— კი არ ვგეგმავთ, ჩათვალეთ, რომ უკვე მოგებული გვაქვს და შემდეგ წრეში გავედით.



### ნუგზარ ჭეიშვილი, "მეობა"

— შეხვედრა ვარაუდით ვითამაშეთ, რადგან მეტოქის მხოლოდ ერთი ვარჯიში ვნახე. 21 ქულიანი უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ და ამას თავისი მიზეზები აქვს: ჯერ ერთი, გუნდი დაიღალა, ფურცელაძე პირველსავე ტაიმში გამოგვაკლდა; სამ მოთამაშეს ოთხ-ოთხი პერსონალური ჰქონდა და თავს ვზოგავდით, რათა მოედანზე საქმის გამკეთებელი შემადგენლობა დარჩენილიყო. გოგონებმა დავალება კარგად შეასრულეს. ერთი ეგ იყო, გავარდნის შიშით შეჯახების უფლება არ ჰქონდათ. მსაჯობაც მკაცრი იყო. თუ კი მოლდოველი შედარებით თავისუფალი თამაშის საშუალება იძლეოდა, ლიტველი ყველაფერს პედანტურად სჯიდა.

**— ბოლო წუთნახევარში 6 ქულა დაკარგეთ...**

— ეს საშიში არ არის.

**— როგორ ხასიათზე დაგაყენათ ამ თამაშმა საპასუხოს წინ?**

— მოვიგებთ.



# მარტო ჩვენ არა ვართ [illegible]

ქართველმა ხელბურთელებმა წლევანდელი სეზონი უჩვეულოდ ადრე დაიწყეს. ეს პირველ რიგში იმითაა განპირობებული, რომ ევროთასებზე მოასპარეზე ჩვენს გუნდებს სათანადო დონის მიღწევაში დაეხმარონ. მითუმეტეს, რომ მეტოქეები მართლაც ძლიერები გვყავს: ქალებში ჩემპიონი „სტუ-მართვე" გერმანიის ქალაქ ბრემენის „ვალიეს" შეხვდება, თასების თასზე „თბილისი" — იტალიის ქალაქ რიმინის „იომსას", ხოლო ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე ფოთის „კოლხეთი" თურქეთის ქალაქ ესქიშეპირის „უნივერსიტეტს" ეთამაშება. რაც შეეხება ქალაქების თასზე მოასპარეზე „თსუ-მართვეს" მეტოქეს, ბელგიის ქალაქ ანტვერპენის „სასიემ" ფინანსური გაჭირვების გამო ჩვენებს თამაშებზე უარი შემოუთვალა.

კაცებში ჩემპიონი „სტუ-შევარდენი" როგორც ცნობილია, ესპანეთის ქალაქ ბარსელონის ამავე სახელწოდების სუპერკლუბს უნდა შეხვდეს, ფედერაციის თასზე „მამული" — საბერძნეთის ქალაქ კატერინის გუნდს, ხოლო ქალაქების თასზე „ამირანი" — ნორვეგიის ქალაქ დრამენის „ჰანდბალკლაბს". რაც შეეხება სამტრედიის „მიმს", ის ვერ ჩავიდა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში თასების თასზე ადგილობრივ „ლოკომოტივთან" სათამაშოდ, რის გამო წაგებაც ჩაეთვალა და სათანადო სანქციასაც დაადებენ.

იმასაც გეტყვით, რომ ბელგიელებისა არ იყოს, ჩვენც ძალიან გვიჭირს, რის მიზეზითაც ყველა ჩვენი გუნდი ორივე თამაშს სტუმრად გამართავს.

ამასობაში კი დაიწყო საქართველოს მორიგი ეროვნული ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში ბრძოლაში ჩაება ხუთი გუნდი. ესენია: უცვლელი ჩემპიონი „სტუ-მართვე" (უფროსი მწვრთნელი ზაალ სიხარულიძე), „თბილისი" (გურამ ძაგანია, ალექსანდრე ხუციშვილი), ფოთის „კოლხეთი" (დარეჯან გეფერიძე), „თსუ-მართვე" (თამაზ ჩხაიძე) და „მართვე-2" (ჯულიეტა კასიანი). ოთხი დღის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემპიონატს უდანაკარგოდ ლიდერობს „სტუ-მართვე". შემდეგ მოდიან „თბილისი", „კოლხეთი", „სტუ-მართვე" და პატარა „მართვე".

გია ახალაძე



## თამაზ ლეჟავა

ბედისწერა — 21 სექტემბერს დაბადებული 21 სექტემბერს დაიღუპა. იმ დღეს 43 წლისა შესრულდა.

მცხეთიდან, ველოსპორტსმენთა შეჯიბრებიდან თბილისში მობრუნებული, ავტოშემთხვევას ემსხვერპლა.

ველოსპორტი მისი ცხოვრება იყო: საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ათეულობით შეჯიბრებათა ორგანიზატორი, ნიჭიერ სპორტსმენთა აღმზრდელი, ცენტრალური რესპუბლიკური სასპორტო სკოლის ველოსპორტის მთავარი სპეციალისტი.

მამის კვალს გაჰყვა (თამაზის მამა, გიორგი ლეჟავა საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი და მრავალ დიდ შეჯიბრებათა პრიზიორი იყო) და ველოსპორტისთვის არასოდეს უღალატია.

ამ საქმეს შეეწირა კიდეც.

ვინ იცის, იქნებ დაობლებულმა პატარა გიორგიმ და დავითმა გააგრძელონ ოჯახური ტრადიცია.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გრემანიის ჩემპიონატის მე-8 ტური. 30.09-01.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი - ვერდერი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ფრაიბურგი — შალკე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მიუნხენი — ფორტუნა | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| უერდინგენი — ჰამბურგი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| კარლსრუე — ჰანზა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ზანქტ-პაული — შტუტგარტი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მიუნხენგლადბახი — აინტრახტი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| დორტმუნდი — ბაიერნი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| კაიზერსსლუტერნი — კიოლნი | 1,3 | 2,8 | 5,6 |

საფრანგეთი ჩემპიონატის მე-11. 30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მეცი — ოსერი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| მონაკო — გინგამი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| კანი — ნიცა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ლიონი — სენტეტიენი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| სტრაზბური — ბორდო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ლანი — პ.ს.ჟ. | 1,9 | 2,6 | 2,6 |

რუსეთის ჩემპიონატის 27-ე ტური 30.09-01.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ტექსტილშჩიკი — სპარტაკი ვლ. | 5,6 | 3,4 | 1,15 |
| როზტსელმაში — ცსკა | 2,7 | 2,7 | 1,8 |

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-6 ტური. 30 სექტემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — რეინჯერსი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| აბერდინი — რეით-როვერსი | 1,3 | 3,0 | 5,0 |

პორტუგალიის ჩემპიონატის მე-6 ტური 30.09-01.10

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — ბენფიკა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| პორტუ — ბოავიშტა | 1,15 | 3,1 | 7,0 |

თურქეთიჩ ჩემპიონატის მე-7 ტური 29.09-01.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ფენერბახჩე — ბეშიქთაში | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ტრაბზონსფორი — გალათასარაი | 1,8 | 2,7 | 2,7 |

ინგლისის ჩემპიონატის მე-8 ტური 30.09-02.10

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლტონი — ქპრ | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ჩელსი — არსენალი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ქოვენთრი — ასტონ ვილა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლიდსი — შეფილდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მიდლსბრო — ბლექბერნი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ნოტინგემი — მანჩესტერ სიტი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ტოტენჰემი — უიმბლდონი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ევერტონი — ნიუკასლი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მანჩესტერ იუნ. — ლივერპული | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| საუთჰემპტონი — ვესტჰემი | 1,4 | 3,0 | 4,0 |

იტალიის ჩემპიონატის მე-5 ტური 1 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — პიაჩენცა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ბარი — მილანი | 2,8 | 2,6 | 1,8 |
| ფიორენტინა — კრემონეზე | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ინტერი — ტორინო | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| იუვენტუსი — ნაპოლი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| პადოვა — პარმა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| რომა — ლაციო | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| სამპდორია — კალიარი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| უდინეზე — ვიჩენცა | 1,6 | 2,6 | 3,6 |

ესპანეთის ჩემპიონატის მე-5 ტური. 30.09-01.10

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — ბარსელონა | 1,6 | 2,5 | 3,8 |
| დეპორტივო — ალბასეტე | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სევილია — ატლეტიკო | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ესპანიოლი — რასინგი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სარაგოსა — კომპოსტელა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ბილბაო — სპორტინგი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ოვიედო — ბეტისი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| სელტა — სოსიედადი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ვალიადოლიდი — ტენერიფე | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მერიდა — სალამანკა | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| რ.ვალეკანო — ვალენსია | 2,4 | 2,4 | 2,2 |

ტურში გატანილი გოლების რაოდნეობა

გერმანია მე-8 ტური
27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
ინგლისი მე-8 ტური
27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9
იტალიის მე-5 ტური
21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი მე-5 ტური
28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფორმულა 1 გერმანიის დიდი პრიზი
8 ოქტომბერი
პირველი სამეული თანმიმდევრობით — 10,0
გამარჯვებული შუმახერი — 1,5; ჰილი — 2,0; კულტჰარდი — 4,0; ალეზი — 7,0; ბერგერი, ჰაკინენი — 10,0; ჰერბერტი, ბლანდელი — 20,0; დანარჩენი (კონკრეტული) — 50,0

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში ალნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | | | | | | | | 3-2 | | | | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | | | | | | | | | | | 3-1 | | | | | | |
| 3 | FC BARCELONA | | | ■ | | | | | | 2-0 | | | | | | | | | | | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | | | ■ | | | | 0-2 | | | | 4-0 | | | | | | | | | | |
| 5 | SD COMPOSTELA | | | | | ■ | | 4-0 | | | | | | | | | | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | | | 4-2 | | | | | | | | | | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-0 | | | 3-0 | | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | | | | | 2-0 | | ■ | | | | | | 4-1 | | | | | | | | |
| 9 | RAYO VALLECANO | | | | | | | | | ■ | 1-5 | | | | | 1-2 | | | | | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | | 1-2 | | | | | | ■ | 2-3 | | | | | | | | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | | | | 0-0 | | | | | 2-0 | | ■ | | | | | | | | | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | | | ■ | | | | | 1-1 | | | | | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | | | | | | | 1-0 | | ■ | | | | | | | | | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | | | | 2-0 | | | | | | | | ■ | | | | | | | | |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | | | | | | | | 0-0 | | | 3-1 | | ■ | | | | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | | | | | | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | | | | | | | | | | | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | | | | | 1-1 | | | | | | | | | | | ■ | | | | |
| 19 | VALENCIA CF | | | | | | | | | | | | | 0-0 | | | | | 1-0 | ■ | | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | | | | | | | | | | | | | ■ | | |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | | | | | | | | | | | | 2-2 | | | ■ | |
| 22 | MERIDA | | | | | | | | | | | | | | | 1-1 | | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | | 1-3 | | 1-1 | | | | | | | |
| 2 | AS BARI | | ■ | | | | | | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | | | | | | | | | | | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | | | | ■ | | 0-0 | | | | | | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | | 3-1 | | ■ | | | | | | | | | | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | | | | ■ | | | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | | ■ | | | | 0-0 | | | | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | | | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | | | 2-1 | | | ■ | | | | | | | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | | | | | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | | | ■ | | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | | | | | | | ■ | | | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | | ■ | | |
| 17 | VICENZA | | | | | 1-0 | | | | | 2-1 | | | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | | | | | | | | | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | | | | | | | | | | | 1-1 | | 1-1 | | | 4-2 | | 1-0 | |
| 2 | ASTON VILLA | | ■ | | 1-0 | | | | | | | 3-1 | | | 1-1 | | | | | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | | | 5-1 | | | | | 1-2 | | | | 1-0 | | | | | |
| 4 | BOLTON WONDERERS | | | 2-1 | ■ | | | | | | | | 1-1 | 1-3 | | | | | | | |
| 5 | FC CHELSEA | | | | | ■ | 2-2 | 0-0 | | | | | | | | | | 3-0 | | | |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | | | | | ■ | | | | 2-1 | | | | 1-1 | | | | | | |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | | | | | ■ | | | | 2-3 | | | | | | 2-0 | | | |
| 8 | LEEDS UNITED | | 2-0 | | | | | | ■ | 1-0 | | | | | | 1-2 | | | | | |
| 9 | FC LIVERPOOL | | | 3-1 | 5-2 | | | | | ■ | | | | | | 1-0 | 1-0 | | | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | | | | | | 0-2 | | | ■ | | 0-1 | | | | | | 1-1 | | |
| 11 | MANCHESTER UNITED | | | | 3-0 | | | | | | | ■ | | | | | | | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | | | | | 2-0 | 2-1 | | | | | | ■ | | | | | 0-0 | | | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | | | | | 2-0 | 3-0 | | | | 3-1 | | 1-0 | ■ | | | | | | | |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | | | | | 0-0 | | 3-2 | | | | | | | ■ | | | | | 1-1 | |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | | | | | | | | | 1-0 | | | | | ■ | 0-3 | | | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | | | | | | | | 0-0 | | 0-2 | | | ■ | | 1-3 | | |
| 17 | FC SOUTHAMPTON | | | | | | | | 1-1 | | | | | 1-0 | 3-4 | | | ■ | | | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | | 0-1 | | | | | | 2-1 | 1-3 | | | | | | | | | ■ | | |
| 19 | WEST HAM UNITED | | | | | 1-3 | | 2-1 | 1-2 | | | | | | | | | | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | | 3-2 | | | | 2-4 | 1-0 | | | | | | | 2-2 | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FORTUNA DUSSELDORF | ■ | | | | 2-2 | | | 2-2 | | | 1-1 | | | | | | | 1-0 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 1-1 | ■ | | | | | | | 1-1 | 1-0 | | | | | 2-0 | | | |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | | | ■ | | | | | | 1-1 | | | | 2-1 | | | | 6-3 | |
| 4 | FC ST. PAULI | | | 0-3 | ■ | | | | | 1-2 | | | | | | 4-2 | | | |
| 5 | FC HANSA ROSTOCK | | | 3-2 | 2-0 | ■ | | | | | | | 1-2 | 2-3 | | | | | |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 3-4 | | | ■ | | | 3-1 | 2-2 | | | | | 4-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 0-1 | | 0-2 | | 2-0 | ■ | | | | | | | | | | | |
| 8 | HAMBURGER SV | | 3-3 | | | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | | 1-1 | | |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | | | | | | | | | ■ | | | | 1-3 | 2-3 | | | 1-1 | |
| 10 | KARLSRUHER SC | 3-1 | | | | | | | | | ■ | 1-0 | | | 2-6 | | | | |
| 11 | 1. FC KÖLN | | | | | | | 1-1 | 3-2 | | | ■ | | | | | 0-1 | | 0-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | | | 1-1 | 1-1 | | 2-0 | | | | | | ■ | | | | | | |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | | | | 2-4 | | | 1-0 | | | | | 0-0 | ■ | | | | | |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | | | | | | | 2-0 | 3-2 | | | | 1-0 | | ■ | | | | 2-0 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | | | | | | | | | | | 2-1 | | | 0-2 | ■ | | 1-1 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | | | | 1-3 | | | | | 2-1 | | | | | 1-1 | ■ | | |
| 17 | VfB STUTTGART | | | | | | | 3-1 | | | | | 1-4 | 5-0 | | | | ■ | 0-0 |
| 18 | UERDINGEN | | 3-0 | | | | 1-1 | | | | | | | | | | 0-1 | | ■ |

რვაათასიანები

# ალარც ღმერთი, ალარც ლოცვა




თუ ჰიმალაის ბუმბერაზ მწვერვალთა ბიოგრაფიას გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ თითოეული მათგანი თავისებური რეკორდსმენია. სამწუხაროდ, ბევრი რეკორდი ტრაგიკულ კატეგორიებს განეკუთვნება. ერთი გოლიათი მასზე ლაშქრობათა მთელი ისტორიის განმავლობაში დაგროვილ მსხვერპლთა რაოდენობით გამოირჩევა, მეორე — პირველასვლამდე დაღუპულ მთამსვლელთა სიმრავლით, მესამე — ერთ სეზონში დატრიალებული უბედურებით. ამ მხრივ არც მანასლუა გამონაკლისი. ამ მწვერვალზე 1972 წელს ნეპალის ჰიმალაის ისტორიაში ყველაზე დიდი ტრაგედია დატრიალდა. იმ წლის გაზაფხულზე მწვერვალს ერთდროულად ავსტრიისა და სამხრეთ კორეის ექსპედიციები უტევდნენ. ავსტრიელები სამხრეთ-დასავლეთიდან ადიოდნენ, ხოლო კორეელები — აღმოსავლეთიდან ცდილობდნენ მიზნის მიღწევას.

სამხრეთკორეელებს მეთაურობდა კიმ ხო სუპი, რომელსაც წინა წელს ამავე მწვერვალზე ნაპრალში ძმა ჩაუვარდა და დაეღუპა. კიმ ხო სუპთან ამჯერად მისი მეორე ძმა და კიდევ 17 მთამსვლელი იყო. 10-11 აპრილის ღამეს 6500 მეტრის სიმაღლეზე, მესამე ბანაკში თავს უშველებელი ზვავი დაატყდათ. ექსპედიციის მეთაურის ძმამ იაემ და ორმა შერპამ კარვიდან გამოხტომა მოასწრეს, მაგრამ ისინი ზვავმა მაინც ჩაითრია და 700 მეტრით ქვემოთ გააქანა. როცა ვარდნა შეჩერდა და მთამსვლელებმა ის იყო ამოძრომა შესძლეს, მათ ზვავის ახალი ტალღა დაატყდათ და ახლა 300 მეტრით ქვემოთ ჩაიტანა. ეტყობა, მათ სიკვდილი არ ეწერათ ბედად, რაკილა სასწაულებრივად კვლავ გადარჩნენ. აი, კარვებში დარჩენილნი კი ყველანი დაიღუპნენ: ოთხი კორეელი, ათი შერპი და ერთიც იაპონელი.

ერთბაშად ასეთი დიდი მსხვერპლი ჰიმალაის არ ახსოვდა, მაგრამ მანასლუ ამით არ დაკმაყოფილდა და 12-13 დღის მერე ავსტრიელ მთამსვლელებს დაუყენა შავი დღე. ისინი ახალი და საკმაოდ რთული მარშრუტით მიიკვლევდნენ გზას. 24 აპრილს რაინჰოლდ მესნერი და ფრანც ეგერი კარგ ამინდში ბოლო საიერიშო ბანაკიდან (7400 მ) მწვერვალისკენ დაიძრნენ. 7700 მეტრზე ეგერი ისე დაიღალა, რომ კარვისკენ დაბრუნდა, მესნერი კი მარტოდმარტო ავიდა მწვერვალზე და იქ წინა წელს ნამყოფი იაპონელების ბარათი იპოვა. ასვლისთანავე ქარბუქი ამოვარდა და იქაურობა თოვლის კორიანტელმა დაფარა. უკანდაბრუნებული მესნერი ალბათ კარავს ვეღარც მიაგნებდა და მის სიახლოვეს ამაოდ იტრიალებდა, თანაგუნდელებს ფარნების შუქით ბანაკის ადგილსამყოფელი რომ არ ენიშნებინათ. კარვის სიახლოვეს მესნერს ეგერის ხმა ესმოდა, მაგრამ მას ვერც მესნერმა მიაგნო და ვეღარც ჰორსტ ფანკჰაუზერმა და ანდი შლიკმა, რომლებმაც გზააბნეული ფრანცის ძებნა განაგრძეს. საუბედუროდ, მათ ვერც ეგერს მიაგნეს და მის ძებნაში შლიკიც დაიღუპა.

13 დღეში 17 ადამიანის დაღუპვა მართლაც უდიდესი მსხვერპლი იყო.

როცა მანასლუს ამგვარ სავალალო „მიღწევებზე" ვსაუბრობთ, უპრიანი იქნება ამ მწვერვალის სხვა რეკორდიც გავიხსენოთ.

1974 წელს მანასლუ პირველად დალაშქრეს ქალებმა, იაპონელებმა: 33 წლის მასაკა უშიდამ, მიეკო მორიმ და მათზე 3 წლით უფროსმა ნაოკო ნაგასეკომ, რომლებიც შერპ იამბუსთან ერთად კლასიკური მარშრუტით ავიდნენ მწვერვალზე. ეს იყო საერთოდ ქალებისაგან პირველი რვაათასიანის ძლევა, მაგრამ მანასლუმ არც მათ შეარჩინა კადნიერება — მეორე დღეს უგზო-უკვლოდ გაქრა ამ გუნდის ერთი წევრი ტეიკო სუსიკი, რომელიც ქალთაგან მანასლუს პირველი მსხვერპლი აღმოჩნდა.

მანასლუმ ამის მერეც ბევრი იმსხვერპლა, მაგრამ ეს მწვერვალი წინათ ასეთი ავსული სულაც არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მთამსვლელთა მიმართ, თორემ ადგილობრივ მოსახლეობას ერთხელ თავისი ავი სულიდან დიდი ბოროტება გადმოანთხია.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ამ მთის სახელწოდების ახსნა დღემდე ბურუსითაა მოცული. ვარაუდობენ, რომ მისი სახელწოდება ინდური წარმოშობისაა. „მანასა" სანსკრიტულად სულს ნიშნავს. ზოგიერთ ლიტერატურაში მანასლუს სახელწოდება განმარტებულია როგორც „მწუხრის მთა", თუმცა მითითებული არ არის, თუ რა ენაზეა ასეთი მნიშვნელობისა. ამ მწვერვალთან ყველაზე ახლომდებარე სოფელ სამას მცხოვრებნი მანასლუს კამბუნგს ან კამბუნგეს უწოდებენ. 50-იანი წლების დამდეგამდე მწვერვალს კუტანგ-1 ერქვა.

თავდაპირველად ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის მიერ ეს მწვერვალი იხსენიებოდა როგორც „პიკი 30", რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ჰიმალაიზე იგი სიმაღლით... ოცდამეათეაო. თუმცა მერე დადგინდა, მანასლუ მართლაც „პატარა" რვაათასიანია, მაგრამ გოლიათთა შორის მაინც მეშვიდე ყოფილა, რამდენიმე წლის წინათ კი მერვე ეგონათ და რუკებზე აღნიშნული იყო, რომ მანასლუ 8125-მეტრიანი მწვერვალიაო, ბოლოს კი ცოტა წაუმატეს და ახლა 8156 მეტრიან პიკადაა აღიარებული.

მანასლუ ცენტრალურ ნეპალში, გურკაჰიმალში აღმართული ერთადერთი რვაათასიანია. იგი მარსიანდი-განდაკის აღმოსავლეთით და ანაპურნა-დჰაულაგირის ჯგუფის მწვერვალებს შორის მდებარეობს ცენტრალური ჰიმალაის ვეება სამხრეთ განშტოებაზე. ეს განშტოება ჰიმალაის მასშტაბებით დაბალ სიმაღლეზე, დაახლოებით 7000 მეტრზე იწყება, თანდათან იზრდება და უმაღლეს წერტილს ზედ მანასლუზე აღწევს.

მანასლუ სამთავიანი მწვერვალია. მისი აღმოსავლეთი თავი 7895, ხოლო ჩრდილოეთისა 7154 მეტრი სიმაღლისაა.

მანასლუს იაპონელთა მთასაც უწოდებენ, რადგან ამ მწვერვალზე პირველასვლებს მხოლოდ ისინი ცდილობდნენ და მიზანსაც სწორედ მათ მიაღწიეს. ამომავალი მზის ქვეყნის წამორმომადგენლებს მანასლუს მიმართ ლტოლვა არც მასზე პირველასვლის მერე განელებიათ და, როგორც ზემოთ ვთქვით, ეს მწვრევალი ქალთაგან პირველებმაც მათ დალაშქრეს.

1952-ის შემოდგომამდე მანამ მანასლუს ფერდობებზე იაპონელები გამოჩნდებოდნენ, იგი სრულიად შეუსწავლელი იყო. მათ პირველ ექსპედიციას მეთაურობდა 50 წლის კოშიხარო იმანიში (თუ იმანისი), რომელიც პროფესიით ანთროპოლოგი გახლდათ. ექსპედიციაში სულ ხუთი კაცი იყო, მათ შორის ექიმი და ჟურნალისტი, თუმცა არცერთი მათგანი ალპინიზმთან მწყრალად არ ყოფილა, მაგრამ ჰიმალაის მთებში ლაშქრობების გამოცდილება. ისევე როგორც საერთოდ სხვა იაპონელებს, არც მათ ჰქონდათ.

იაპონელებმა მწვერვალს ყველა მხრიდან შემოუარეს. დასავლეთიდან მარსენგდის ხეობიდან 5800 მეტრამდეც ავიდნენ და დარწმუნდნენ, რომ აქედან სავალი ფრიად რთული და არარაციონალურიაო. ბოლოს სოფელ სამადან შეისწავლეს მანასლუს მყინვარი და აღმოსავლეთი ფერდობი. შედეგით ერთობ კმაყოფილნი დარჩნენ. მათ დაადგინეს მარშრუტი, რომელიც გადიოდა სამადან ნაიკეს უნაგირაზე (5600 მ), იქიდან ყინულვარდნილის დაძლევით ჩრდილოეთ უნაგირაზე (7100) და ბოლოს მწვერვალის პლატოზე..

1953 წელს მანასლუს მიადგა უკვე დიდი, თხუთმეტკაციანი ექსპედიცია, 52 წლის იტოში მიტა რომ მეთაურობდა. იტოში მიტა წინა წელს ანაპურნაზე მოწყობილი ექსპედიციის ხელმძღვანელიც იყო, მაგრამ იაპონელებმა იქ თავი ვერ გამოიჩინეს და ანაპურნა IV მხოლოდ 6000 მეტრამდე ავიდნენ, ამჯერად მიტას ექსპედიციამ თანამემამულეთა მიერ წინა წელს მანასლუს დაზვერვის მონაცემები გამოიყენა და გადაწყვიტა მათი შერჩეული გზით ევლოთ.

იაპონელებმა სამადან ერთი საათის სავალზე ქვედა მყინვარის ჩრდილოეთ მორენის ფერდობზე 4600 მატრზე პირველი ბანაკი დასცეს. ამის მერე ერთიმეორის მიყოლებით დაიდგა მომდევნო საშუალედო ბანაკები: მეორე — 5000 მეტრზე, მესამე — ზედ მყინვარზე (5400), მეოთხე — ნაიკის უნაგირაზე (5600), რომელიც მანასლუსა და ლასკიას მყინვარებს აერთებს. ამ ბანაკს ძირითადი დაარქვეს და აქამდე 8 კილომეტრის სიგრძის სატელეფონო კაბელი გაიყვანეს.

ამის მერე სწრაფად გაგრძელდა მომდევნო მეხუთე (5900 მ), მეექვსე (6200 მ) და მეშვიდე (6600 მ) ბანაკების დადგმაც. ბოლოს, მაისის შუა რიცხვებში მთავარ და ჩრდილოეთ მწვერვალებს შორის მდებარე უნაგირაზე (7100 მ) მზად იყო მერვე საიერიშო ბანაკიც, მაგრამ აქედან პირველი გასვლა უშედეგოდ დასრულდა, რადგან ახალ თოვლზე სიარული ჭირდა და 7400 მეტრიდან პირი იბრუნეს. მერე ისინი მერვე ბანაკში უამინდობამ შეაფერხა, ქვემოთ ის რვაკილომეტრიანი კაბელიც დაზიანდა და მისმა შეკეთებამ დიდი დრო დააკარგვინათ. მერე მთამსვლელებმა გადაწყვიტეს კიდევ ერთი მეცხრე ბანაკის გამართვაც, რაც 31 მაისს 7500 მეტრზე მდებარე წინა მწვერვალის პლატოს კიდეზე დადგეს, პირველ ივნისს კი მშვენიერ ამინდში მწვერვალისკენ ქ. კატო, ი. იამადა და ი. ისიცაკა გაემართნენ. მათი გზა შედარებით ნაკლებად დამრეც ფერდობზე გადიოდა და არც სავალი იყო რთული, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი ძალზე ნელა მიიწევდნენ ზემოთ. ტექნიკური სირთულეები არც იქ შეხვედრიათ. მეცხრე ბანაკიდან დილის შვიდ საათზე გამოსულებმა 5 საათის მერე მხოლოდ 250 მეტრით აიწიეს. აქ ისინი დარწმუნდნენ, რომ დღის სინათლეზე მწვერვალზე ასვლას და ბანაკში დაბრუნებას ვეღარ მოასწრებდნენ. ამიტომ თავჩაქინდრულნი უკან დაბრუნდნენ, მითუმეტეს მეტად დაღლილები იყვნენ და მთის ავადმყოფობაც შეეყარათ.

მოგვიანებით ეს იაპონელები დაწერენ: „მანასლუ ვერ დავლაშქრეთ, რადგან არ გვქონდა სწორი წარმოდგენა ამ მასივის გიგანტურ მასშტაბებზე, თანაც საიერიშო ბანაკი საკმაო რაოდენობის საწვავითა და საკვებით მოუმარაგებელი დაგვრჩა. ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი არც ტექნიკური სირთულე, არც მეტეოროლოგიური პირობები და არც ფიზიკური მოუმზადებლობა ყოფილა. ჩვენ უკან დავიხიეთ იმიტომ, რომ ჰიმალაიში ასვლების გამოცდილება არ გვქონდა.

ამ აზრს სხვა ქვეყნების გამოცდილი მთამსვლელებიც იზიარებდნენ.

და მაინც იაპონელთა მიერ დაძლეული სიმაღლე მათთვის უკვე მიღწევა იყო, რადგან ამ ქვეყნის მთამსვლელები მანამდე ამ დონეზე არ ასულან.

მომდევნო წელს იაპონელებმა გააუმჯობესეს აღჭურვილობა, საკვებიც უკეთესი წაიღეს და გაცილებით ძლიერი, 13 კაციანი რაზმით ისევ მანასლუსკენ გაემართნენ. ექსპედიციას ახლა იაშიმიტო ხოტა მეთაურობდა და იმედიც ჰქონდა, რომ მწვერვალზე ავიდოდნენ. მითუმეტეს, რომ ათკაციან გუნდში უკვე იყო რვა ალპინისტი, რომლებსაც ჰიმალაის მთებში გამოცდილება მიეღოთ. ამასთან იაპონელებს ჰყავდათ შერპათა ძლიერი გუნდი, რომელსაც წინა წელს მაკალუს დამპყრობი გიალცენ ნორბუ სირდარობდა. იაპონელებს იქნებ მართლაც მიეღწიათ მიზნისთვის, სრულიად მოულოდნელად დიდ განსაცდელს რომ არ გადაყროდნენ, მაგრამ მათ სიცოცხლეს საფრთხე მწვერვალის ფერდობებზე კი არა, იქვე მდებარე სამაში ელოდათ. იქ ასულებს სოფლელები... კეტებით, ქვებითა და ყაყანით დაედევნენ. მთამსვლელებმა გაქცევით უშველეს თავს.

თურმე წინა წელს მანასლუზე იაპონელთა ექსპედიციის მერე სოფლის მკვიდრთ დიდი უბედურება დატყდომიათ თავს. მწვერვალის ფერდობებიდან უზარმაზარი ზვავი ჩამოწოლილა, სამი საუკუნის მონასტერი დანგრეულა, მერე გვალვებიც დაწყებულა, მოუსავლიანობას მეტად შეუწუხებია ხალხი, ყვავილის ეპიდემიაც გამძვინვარებულა და ბევრი სოფლელი გარდაცვლილა. გარდაცვლილა ღვთის სამი მსახურიც. სამაელებმა ეს ყველაფერი მიაწერეს თავიანთ ღმერთ კანბუნგეს განრისხებას, რაც იაპონელ მთამსვლელთა მიერ მანასლუს შებილწვამ განაპირობაო.

მაგრამ გაქცეულმა იაპონელებმა მანასლუზე ფიქრი არ მოიშორეს და 1955 წელს სამას მკვიდრებთან მოსალაპარაკებლად შუამავლები აფრინეს. ამ საქმეში ნეპალის ხელისუფალნიც ჩაერიეს და როგორც იქნა მანასლუს ძირში მცხოვრებლებმა მთამსვლელებს მოწყალე თვალით შეხედეს. ამის მერე იაპონელებმა სამკაციანი სიმბოლური ექსპედიცია გაგზავნეს მანასლუზე, რათა მათ მარშრუტი დაეზვერათ.

კაცმა რომ თქვას, მათ ეს საქმე დიდად აღარც აინტერესებდათ, რადგან სავალს ისედაც კარგად იცნობდნენ. ეს ექსპედიცია სოფლელებთან [illegible] შემთხვევისთვის ურთიერთობის გარკვევას უფრო ისახავდა მიზნად. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა და იაპონელები 1956 წელს ისევ მწვერვალისკენ გაემართნენ. მათ ახლა იაპონიის უხუცესი მთამსვლელი, ამ ქვეყნის ალპური კლუბის დირექტორი და ეიგერის დამპყრობი, 63 წლის იუკო (თუ არისტონე) მაკი მეთაურობდა, მაგრამ როგორც კი მათი რაზმი სამასს მიუახლოვდა, სოფლელები მოულოდნელად ისევ გადაირივნენ და ექსპედიცია ყაყანით დააკავეს. იაპონელთა მეთაურმა იაზრა და მათ ზარალის ასანაზღაურებლად 7000 რუპია გადასცა, კიდევ 4000 რუპია მონასტრის აღსადგენად უბოძა, ყვავილსაწინააღმდეგო ვაქცინებიც ბლომად ჩამოურიგა, ბოლოს კი მათ უხუცესებს ყელგამოწვდილმა შესთხოვა, თქვენსავით ბუდისტები ვართ, მანასლუზე რა დაგვიკარგავს, სალოცავად უნდა ავიდეთო. ყოველივე ამან გაჭრა და საზეშემლილი სოფლელები დააშოშმინა. დააშოშმინა და ფრთაშესხმულმა იაპონელებმა ჯერ მათთან ერთად დიდი ზეიმი მოაწყეს. ჩანგითაც (ადგილობრივი ლუდი) გაიჭყიპნენ, მერე კი მწვერვალს ნაცადი გზით ეკვეთნენ, ოღონდ ეგ იყო ბანაკების რაოდენობა მათ შორის მანძილის გაზრდის ხარჯზე შეამცირეს. მეექვსე საიერიშო ბანაკი ახლა უკვე 7800 მეტრის სიმაღლეზე იდგა. ეს ბანაკი ყველასაგან განსხვავებული გამოდგა. აქ ყველაფერი წითელი იყო: გასაბერი ლეიბებიც, საძილე ტომრებიცა და თავად კარავიც, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა ქათქათა თოვლისა და ულურჯესი ცის ფონზე. მაგრამ მისი და სხვა ბანაკების გამართვაც საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. მთამსვლელებს ნიადაგ უამინდობა, გამჭოლი ქარი, ყინვა, თოვა და ზვავები აწუხებდათ. ძნელი იყო მშრალი ფქვილივით ფხვიერ თოვლში სიარულიც. იაპონელებიცა და შერპებიც კატეგორიულად იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ ზვავსაშიშ მონაკვეთებზე დღის მეორე ნახევარში არ ევლოთ, რაკილა „თეთრი სიკვდილი" სწორედ მაშინ ილვიძებდა..

ასე იყო თუ ისე, 9 მაისს მეექვსე ბანაკში მოიერიშეებს ასეთი სიმაღლისთვის ჩინებული ამინდი დაუდგათ. ცა მოკრიალებული იყო და არც ქარი ქროდა, ყინვაც მხოლოდ 22 გრადუსი იყო. ტოშიო იმანისიმ და შერპამ გიალცენ ნორბუმ, 3-3 ჟანგბადის ბალონი და ზურგჩანთები აიკიდეს (20-20 კგ-იანი ბარგი) და გზას გაუდგნენ. მათ თოვლიანი ღარი აღმოაჩინეს და იმას აუყვნენ, იქიდან კი გავიდნენ მწვერვალის წინა ველზე, რომელიც პიკის კოშკთან ვიწროვდებოდა.

„ჩვენ ნელა მივიწევდით ზემოთ, მაგრამ მალე დავინახეთ, როგორც გვეჩვენებოდა, ორი თეთრი მწვერვალი, — იხსენებდა იმანისი. — მაშინ ვფიქრობდით, რომ ეს უკვე მწვერვალი იყო".

ამან მთამსვლელები გაამხნევა და აუჩქარეს, მაგრამ ახლოს რომ მივიდნენ, გაწბილდნენ — მაღალი კლდოვანი კოშკი დაინახეს. მასზე ასვლისას ისინი ერთმანეთს გულმოდგინედ იცავდნენ, როცა კოშკის თხემზე გავიდნენ, დაინახეს, რომ მწვერვალს თურმე საკმაოდ ღრმა ჩანაქცევი აშორებდათ. აქ იმანისი ნორბუს დაცვით თოვლიან ღარში ჩაეშვა, იქ პალო ჩაასო და ახლა სუფთა 20-მეტრიან კლდეზე ასვლა დაიწყო. 12 საათსა და 30 წუთზე იაპონელი უკვე მწვერვალზე იდგა, მერე მას შერპიც მიჰყვა და მალე ორივე გამარჯვებას ულოცავდა ერთმანეთს.

ამ ასვლით გიალცენ ნორბუ გახდა პირველი, ვინც მეორე რვაათასიანიდან გადმოიხედა (სამწუხაროდ, 1961 წელს მწვერვალ განგჩენ ლედრუბაზე ზვავში მოჰყვა და დაიღუპა).

იაპონელ-შერპის წყვილი მწვერვალზე დიდხან არ შეყოვნებულა. იქ ფოტოები გადაიღეს, ბარათი დატოვეს და სამი საათის მერე უკვე წითელ კარავში იყვნენ.

მეორე დღეს მწვერვალისკენ მეორე წყვილიც გაუდგა გზას. იაპონელ კიიჩირო კატოსა და მინორუ ხიგეტასაც დარი დაუდგათ. მიზანს მათაც მიაღწიეს.

ამგვარად, რვაათასიანების დამლაშქრავთა შორის იაპონელებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ვერც მათმა პირველმა წყვილმა და ვერც მეორემ იქ სამაელთა ღმერთი ვერ ნახეს და არც ლოცვა გახსენებიათ. მიუხედავად ამისა, ამით ღმერთი კანბუნგე არ განრისხებულა.

ავთანდილ გურასაშვილი

## XIV ეტაპი

1 ოქტომბერი. ევროპის გრან-პრი.
ავტოდრომი „ნიურბურგრინგი" (გერმანია)

წრის სიგრძე 4542 მ. 67 წრე—304,3 კმ.
სიჩქარის რეკორდი წრეზე 197,5 კმ-სთ (ნიკი ლაუდა, „მაკლარენი", 1985)



პრიზიორები

1994 (ესპანეთი): მიხაელ შუმახერი („ბენეტონი"), დეიმონ ჰილი, მიკა ჰაკინენი.
1993 (ინგლისი): აირტონ სენა („მაკლარენი"), ჰილი, ალენ პროსტი
1985 (ინგლისი): ნაიჯელ მენსელი („უილიამსი"), სენა, კეკე როსბერგი.
1984 (გერმანია): პროსტი („მაკლარენი"), მიკელე ალბორეტო, ნელსონ პიკე.
1983 (ინგლისი): პიკე („ბრებჰემი"), პროსტი, მენსელი.

ევროპის „გრან-პრი" შარშანწინ ალდგა ინგლისში, დონინგტონის ავტოდრომზე, ათი წლის წინ ინგლისშივე, ოღონდ „ბრენდს ჰეჩზე" ბოლო რბოლის შემდეგ.

„ნიურბურგრინგის" საშუალო სიჩქარიანი ტრასა ზეგ მეორედ უმასპინძლებს "ევროპას". აქ 19 წლის წინ, გერმანიის „დიდი პრიზის" გათამაშებისას მოხდა საშინელი კატასტროფა, რამაც კინაღამ შეიწირა ავსტრიელი პილოტის ნიკი ლაუდას სიცოცხლე: დამცავ ბარიერს მინარცხებული მისი „ფერარი" წამში ბურბუშელასავით აალდა. გონდაკარგულ მრბოლს სულზე მიუსწრეს კოლეგებმა, ჩირაღდნადქცეულ მანქანიდან გადმოათრიეს და უეჭველ სიკვდილს გადაარჩინეს. მას შემდეგ „ნიურბურგრინგზე" სულ ორჯერ მოეწყო რბოლა (1985 წელს გერმანიის „გრან-პრი" გათამაშდა). ნიშანდობლივია, რომ სიჩქარის რეკორდი სწორედ მკვდრეთით ალმდგარმა ლაუდამ დაამყარა ათი წლის წინ იმ უკანასკნელ რბოლაში.

გერმანიაში ძალზე ბევრი, შვიდი პილოტია დაღუპული, მათ შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ჯიმ კლარკი (1968). უკანასკნელი ტრაგედია 15 წლის წინათ დატრიალდა, რამაც ფრანგი პატრიკ დეპაიე იმსხვერპლა.

ევროპის „დიდი პრიზი" შარშან, „ჰერეს დე ლა ფრონტენაზე" ისეთი მშვიდობიანი გამოდგა, რომ ფინიშამდე მანქანების სარეკორდო რაოდენობა მივიდა — 19. კვალიფიკაცია მიხაელ შუმახერმა მოიგო, მისი მთავარი კონკურენტის დეიმონ ჰილის „უილიამსი" კი სტარტზე მეორე იდგა. პილოტებმა რბოლაც ასევე თანმიმდევრობით დაასრულეს.

საინტერესოა ასეთი ფაქტიც: ევროპის „გრან-პრის" აქამდე მხოლოდ რჩეულნი, მსოფლიოს ჩემპიონები იგებდნენ. ამასთან, ორჯერ არავის გაუმარჯვნია.

## მძლეოსნობა

# აფრიკული დომხალი

როგორი კოლორიტულიც აფრიკაა, ისეთივე გამოდგა სრულიად აფრიკის VI თამაშები, 13-23 სექტემბერს სამხრეთის ქვეყანამ — ზიმბაბვემ რომ უმასპინძლა.

შეჯიბრება გრანდიოზული იყო: 48 ქვეყნის 6 ათასი ათლეტი სპორტის 21 სახეობაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს. ვითარებას ამძიმებდა ისიც, რომ მონაწილე ქვეყნები 20 ომში (!) იყვნენ ჩაბმული.

ზიმბაბვემ ცდა არ დააკლო, მაგრამ ამხელა ღონისძიების მასპინძლობას მაინც ვერ აუვიდა. როგორც უცხოურმა მედიამ შენიშნა, თამაშები შესაკვეცია, თორემ ახლანდელი ფორმით სამხრეთი აფრიკის მეტი ვეღარავინ უმასპინძლებსო.

თავად სამხრეთი აფრიკა პირველად მონაწილეობდა შეჯიბრში. სხვა ქვეყნების სპორტსმენები რასიზმის ყოფილი ციტადელის წარგზავნილებს პირდაპირ გულში იხუტებდნენ და ძმობას ეფიცებოდნენ.

ჰოდა, სამხრეთმა აფრიკამაც ყველას აჯობა გუნდურ ჩათვლაში — 62 ოქრო მოიგო. ეგვიპტის ნადავლი 60 ოქროა, ნიგერიისა — 37.

შეჯიბრებას მსოფლიო მედია მაინცდამაინც არ სწყალობდა. თამაშების ცენტრ ჰარარედან თუკი რამეს იუწყებოდნენ, ისიც სკანდალებსა და კურიოზებს შეეხებოდა. ესეც მასპინძელთა ბრალი იყო: აკრედიტაცია ერთობ ძვირად დაუფასეს მედიის წარგზავნილებს და ხუთსაათიან რიგშიც ჩააყენეს მის მისაღებად.

პრობლემები თამაშებს გახსნისთანავე დაებედა: ჰარარეში ახალი, 60-ათასიანი სტადიონი კი ააგეს, მაგრამ ერთობ დიდი ვალი დააწვათ. რინგმა ვერ გაუძლო საშუალოწონოსნებს და ჩაინგრა, ფრენბურთის ბადეები კი დროულად ვერ იშოვეს.

წყალში ხტომამ და რაგბმა მონაწილეები მოისაკლისეს, რის გამოც ორივე ჩაიშალა. მერე და მერე ორგანიზატორებმა იაზრეს და ნაკლებად პოპულარული სპორტები ქვეყნის მეორე ქალაქში — ბულავაიოში გადაიტანეს, მაგრამ იქაურები ამან ისე შეურაცხყო, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ იქ ჩასვლა ვერც გაბედა.

ნამიბიელ მსროლელებს მოპარეს თოფები. დაიკარგა ორი ტოგოელი პინგ-პონგის მოთამაშე, რის გამოც შეჯიბრში მათ მაგივრად მწვრთნელი ჩაება. სქესის გასინჯვით გაირკვა, რომ ეგვიპტელი ხელბურთელი ქალი სინამდვილეში კაცი ყოფილა; ამას ურჩიეს, კაცთა ნაკრებში ითამაშეო. მოზამბიკელებმა იფიქრეს, მეზობელ ქვეყანაში ავტობუსით უფრო მალე ჩავალთო, მაგრამ 40 საათი მოუწიათ ჯაყჯაყმა. ვერავინ გაარკვია, კორეული ჩხუბი — ტაეკვონდო რაღად შეეტანათ თამაშების პროგრამაში.

შეჯიბრს დაემთხვა სამხედროთა მსოფლიო თამაშები, რომელსაც რომი მასპინძლობდა. ამის გამო იყო, რომ კენიელ მძლეოსანთა ლიანგი საერთოდ არ ჩასულა ზიმბაბვეში, ხოლო ვინც მონაწილეობას დაყაბულდა, განრიგის შეცვლა მოითხოვა. მასპინძლების გულის გასახეთქად ერთი მსოფლიო რეკორდიც არ დამყარებულა, თუმც შეჯიბრში კიტურიც მონაწილეობდა, მატეტეცა და მუტოლაც. მატეტე ერთი პირობა აეროპორტიდან დაეკარგათ კიდეც.

სულ კურიოზული ამბავი მოხდა ცურვაში — გაგანია შეჯიბრში გაირკვა, რომ აუზი ნორმაზე 15 სანტიმეტრით მოკლე ყოფილა. ამის გამო მასში დამყარებული აფრიკის რეკორდები ერთიანად გაუქმდა.

ალინუსჩა დოპინგზე მხილების ხუთი შემთხვევა. ყველაზე მეტად გახმაურდა სამხრეთაფრიკელი სპრინტერისა და სიგრძეზე მხტომელი ქალის — კარენ ბოთას ამბავი, ვისაც ტკივილგამაყუჩებელი აბები ვითომც უცოდინარობის გამო გაუფრთხილებლივ მიეღო. ყველა კარენისკენ იმად იშვერდა თითს, რომ იგი სამხრეთი აფრიკის რაგბის ნაკრების — „ქურციკების" ლეგენდარული 10 ნომრის, ნაას ბოთას ცოლი გამოდგა.

მარათონებში იშვიათი ამბები დატრიალდა. ვაჟთა შეჯიბრი მოიგო ზიმბაბველმა ნიკოლას ნიენგრამ, რომელსაც საკუთარი სარბენი ფეხსაცმელი რომ არა ჰქონია, ზედ სტარტის წინ უნათხოვრია თანაგუნდელისაგან, ტრასაზე კი ორი წუთი დაუკარგავს ტუალეტში. ქალთა შეჯიბრი მოიგო სამხრეთაფრიკელმა ჯარეთ პარეთმა, რომელიც თურმე გზადაგზა წყალს ასმევდა მეტოქე ეთიოპს და მის მხარდამხარ მიიწევდა ფინიშისკენ.

ეგვიპტემ დიდი შეჯიბრი კი გაუმართა სამხრეთ აფრიკას, მაგრამ დროდადრო დაუკრეფავშიც გადადიოდა. ასე, მაგალითად, მავანმა რუბენ კუპროვჩინმა უროს ტყორცნა რომ მოიგო, ეგვიპტემ გაჩითა, ეს მძლეოსანი სულ რაღაც ხუთნახევარი წლის წინ გადასახლებულიყო ბულგარეთიდან სამხრეთ აფრიკას, თამაშებში მონაწილეობისთვის კი ბინადრობის ცენზად 6 წელი იყო დაწესებული.

სამხრეთმა აფრიკამ რევანში აიღო ბალახის ჰოკეიში — აჯობა ეგვიპტეს და ატლანტის ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა.

მარია მუტოლამ 800 მეტრი 1.56,99-ით მოიგო, კვარცხლბეკზე კი ხელი ჩამოართვა მოზამბიკიდან საგანგებოდ მის სანახავად ჩასულ პრეზიდენტ ჟოაკინ ჩისანუს. ბუბკას ორგზის მძლეველმა ოკი ბრიტცმა (სამხრეთი აფრიკა) ჭოკით 550 სმ ძლივს დაძლია, მაგრამ მაინც ჩემპიონი გახდა.

შეჯიბრთა შეჯიბრი, რაღა თქმა უნდა, 23 წლამდე ფეხბურთელთა ტურნირი იყო. დიდი მუშტი-კრივი გაიმართა გვინეა — ალჟირის მატჩში. ხალხი მოედანს შეესია, პოლიციამ კი სულ ელექტრო ხელკეტები ურტყა მოჩხუბრებს. ფინალი ზედ საზეიმო დახურვის წინ მოეწყო ახალ სტადიონზე. მასპინძლები ეგვიპტეს ეთამაშებოდნენ და ძალიანაც ღელავდნენ. ეგვიპტე 56-ე წუთზე დაწინაურდა, 87-ეზე კი მეორე გოლიც გაიტანა. ზიმბაბველმა „ნორჩმა მეომრებმა" 89-ე წუთზე ერთი გოლი გაქვითეს, მაგრამ 91-ეზე (!) ეგვიპტემ მესამეც შეაგდო — 3:1. თუ მედიას დაეჯერება, მთელი ზიმბაბვე სიმწრით ატირებულა.

თენგიზ არტამონოვი

ნინა „სარბიელში" გამოგვრჩა ჩოგბურთელ ვაჟთა რუმინეთის ღია პირველობის ფინალი: თომას მუსტერი — გილბერტ შალერი (ორივე — ავსტრია) 6:3, 6:4

## რაგბი

საქართველოს პირველობა
დიდი ოთხეული
25.IX. აგრარული უნივერსიტეტი

**თბილისი 15 (5) — ყოჩები 24 (21)**

მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი
თბილისი — პლ: 14 ლიპარტელიანი, 7 ჯოხია, 13 ალანია
ყოჩები — პლ: 12 ბარძიმიშვილი, 13 საკანდელიძე (2); პგ, ს: 10 ტეფნაძე

26.IX. ქუთაისი

**აია-პეი 23 (13) — გუმარი 8 (3)**

მსაჯი დიმიტრი ფულარია
აია: ე. ძაგნიძე; გეგუჩაძე (თედოშვილი), ჩუბინიძე, ტყაბლაძე, ძოწენიძე; ნ. ძაგნიძე, იობიძე; ფირცხალავა, ტურძელაძე, რეხვიაშვილი; ხამაშურიძე (გააძევეს), ნაჭყებია (გოგისვანიძე); ფხაკაძე, აბდალაძე, ზვ.ლიპარტელიანი — 2ლ: ჯგუფური, ტყაბლაძე; 2გ, 3ს: ნ. ძაგნიძე
გუმარი: მაჩიტიძე; კობახიძე, ჩიქვინიძე, ჯანელიძე, ბუგიანიშვილი; ძაგანელი (ი. ლეჟავა), შ. მოდებაძე; მთიულიშვილი, ზ. მოდებაძე (გაგნიძე), ბერიაშვილი; ხუადე, მჭედლიშვილი; ობოლაძე, ზ. ლეჟავა, დიდებულიძე — ლ: კობახიძე; ს: შ. მოდებაძე

გასწორება

20.IX შეხვედრებში თბილისისა და აიას მონაცემები ასე უნდა იკითხებოდეს:
თბილისი — 2ლ: 12 ჩაჩუა, 9 იოვაძე; ს: 11 ქავთარაშვილი
აია — 2ლ: 8 ზვ. ლიპარტელიანი, 14 ჩუბინიძე; გ: 15 ე. ძაგნიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 16 | 13 | 3 | 0 | 390:135 | 45-9 | 29 |
| გუმარი | 16 | 10 | 3 | 3 | 271:182 | 25-13 | 23 |
| თბილისი | 16 | 6 | 2 | 8 | 318:244 | 43-21 | 14 |
| ყოჩები | 16 | 7 | 0 | 9 | 315:336 | 35-37 | 14 |

# დიდი შერიგება

გაილია დიდი ოთხეულის კიდევ ერთი, მეორე წრე. თუ წინა წრის ფინიშზე „გუმარი" კინაღამ დაეწია „აიას", ამჯერად ქუთაისელებმა ოთხი ქულით აჯობეს თბილისელებს და დასკვნითი 6 ტურის წინ 6 ქულითაც უსწრებენ.

„აია" — „გუმარის" ბოლო, სამშაბათის თამაში მრავალმხრივ ყოფილა ღირსშესანიშნავი. თბილისელებმა, მართალია, წააგეს, მაგრამ შინ მაინც მშვენიერ გუნებაზე დაბრუნდნენ, ვინაიდან ქუთათურებმა ამჯერად საარაკოდ უმასპინძლეს: თამაში ხომ ვაჟკაცური, უჩხუბო და უგინებო ყოფილა, მსაჯობაც ამისი შესაფერი, მატჩის შემდეგ კი სტუმრები უცხოელ მორაგბეთა ყაიდაზე სუფრასთან მიუწვევიათ. ამერიმერის ამ შერიგების თაოსნები ბევრი მასპინძლები ყოფილან, ახლანდელი გუნდიდან კი საშა ნაჭყებიას, ძმებ ძაგნიძეებს, „ბაჯის" (თენგიზ ტურძელაძეს) და „ნემეწცოს" (ზაზა თხელიძეს) უაქტიურიათ.

რაგბის კავშირი, ეტყობა, შეეგუა იმ აზრს, რომ რკინიგზელმა ფეხბურთელებმა რაგბი საბოლოოდ გააძევეს ვაკის სტადიონიდან. ყოველ შემთხვევაში, ისევ გაურკვეველი ვადით გადაიდო მოდავე მხარეთა შეხვედრა. ამასობაში ტურს ტური მიყვება და სეზონიც ისე ჩამთავრდება, რომ თამაშები ოდენ გადაკარგულში, აგრარულ უნივერსიტეტში გაიმართება. იქ მაყურებელი, ბუნებრივია, ვერ მიდის, ამიტომ არც „სინის" გათამაშებას აქვს აზრი. აი, ზეგაც, 1 ოქტომბერს, „სასოფლოზე" მოუწევთ ბურთაობა ჯერ „თბილისსა" და „აიას", მერე კი — „ყოჩებსა" და „გუმარს".

## აქეთური, იქითური

ნბა-ში მოთამაშეთა ამბოხი კი დამთავრდა, მაგრამ ახლა მსაჯებმა ამოიღეს ხმა, გასამრჯელო 70 პროცენტით მოგვიმატეთო. არადა, ასოციაცია მხოლოდ 10 პროცენტს სთავაზობთ. თუ მსაჯები გაოჩნდებიან [illegible] თვის, 1 ოქტომბერს რომ უნდა დაიწყოს, ასოციაციას სხვათა დაქირავება მოუწევს.

*

ესპანეთის ველოტურ „ვუელტას" მოგებით ფრანგმა ლორან ჟალაბერმა მსოფლიო კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. წლეულს მას უკვე 21 შეჯიბრში გაუმარჯვნია, მაგრამ ატლანტის ოლიმპიადისათვის ისეთი გეგმით ემზადება, რომ არ მონაწილეობს მსოფლიო ჩემპიონატში, ბოგოტაში (კოლუმბია) რომ დაწყებულა. იქ შეჯიბრში ჯერ მეტრეკეები ჩაებნენ. ერთ კილომეტრზე სიმარდის შეჯიბრი ახალი მსოფლიო რეკორდით 1.00,361 მოიგო ავსტრალიელმა შეინ ქელიმ, ვინაც 59 კმ-სთ სიჩქარე განავითარა. ოთხშაბათს ინდივიდუალური გამოდევნების ფინალში გრემ ოუბრიმ (ბრიტანეთი) წამნახევრით აჯობა ანდრეა კოლინელის (იტალია).

*

სოკ-ის პრეზიდენტ სამარანჩს უბრძანებია, რომ 2000 წლისათვის ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოებში ქალთა წილი უნდა გაიზარდოს 10 პროცენტამდე, 2010 წლისთვის კი ამ მაჩვენებელმა 20 პროცენტს უნდა უწიოს.

*

ამერიკული ბურთაობის „ზეთასის" მფლობელმა „სან-ფრანცისკო ფორთი-ნაინერზმა" ორშაბათს უეცრად 24:27 წააგო „დეტროიტ ლაიონზთან", ვისაც მანამდე ერთი თამაშიც ვერ მოეგო.

*

ლილეჰამერის ოლიმპიადაზე ნორვეგიელმა მოთხილამურეებმა 18 მედალი კი მოიპოვეს, მაგრამ მათს ფედერაციას, ვისაც თავის დროზე სახსრები არ დაუმურებია, 7 მილიონი დოლარი ვალი დააწვა. მოთხილამურეებს მხარში ამოსდგომია ტურიზმის სამინისტრო, ფრენბურთის ფედერაცია კი კრიზაში ჩასდგომია, ახია მაგათზეო!

*

მიხაელ შუმახერს „ფერარიში" გაისად უპარტნიორებს ჩრდილოეთირლანდიელი ედი ერვაინი, რომელიც მისმა ახლანდელმა გუნდმა — „ჯორდანმა" კონტრაქტისგან გაათავისუფლა. ახლა მოელიან, რომ დევიდ კულტჰარდს „მაკლარენი" აიყვანს.

*

7 ოქტომბერს ბრიტანეთში ლიგის რაგბის მსოფლიო თასი იწყება. ამჟამინდელი ჩემპიონი ავსტრალია არ შეეპუა სასამართლოს და მისი განჩინების მიუხედავად ნაკრებში მაინც არ შეიყვანა ის ვარსკვლავები, გაისად ახალ „სუპერ-ლიგაში" რომ ითამაშებენ.

# დუენმა პირველობა დაიბევა

ავსტრალიელი მაიკ დუენი „500 კუბური სანტიმეტრი" კლასის მოტორბოლის მსოფლიო ჩემპიონია, თუმც გასამართი კიდევ ერთი ეტაპი დარჩა. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც „ჰონდათი" მოასპარეზე დუენმა კვირას ბუენოს-აირესში მოიგო არგენტინის დიდი პრიზი. რაკი ამ რბოლამდე მაიკი 26 ქულას უგებდა თანამემამულე დარელ ბითის („სუზუკი"), ხოლო დიდი პრიზის მოგება 25 ქულად ფასობს, აქედან ცხადია, რომ დუენმა ბოლო ეტაპზე რომ არც იასპარეზოს, ბითი მას მაინც ვერ დაეწევა.

ერთი კვირით ადრე სამხრეთ ამერიკაშივე გათამაშდა ბრაზილიის დიდი პრიზიც. შეჯიბრი რიოს შემოგარენში, ავტორმრბოლ ნელსონ პიკეს სახელობის ახალ ავტო-მოტოდრომზე მოეწყო. გადაუღებელმა წვიმამ სულ მთლად სლიპანი გახადა ისედაც ერთობ სახიფათო სარბოლო ზედაპირი. მრბოლები დუენის წინამძღოლობით შეჯიბრის გადადებას ითხოვდნენ, მაგრამ ისინი ბოლოს მაინც დაიყოლიეს. გაიმარჯვა იტალიელმა ლუკა კადალორამ („იამაჰა"). დუენმა მეორე ადგილი დაიჭირა, ბითიმ კი — მეოთხე.

დუენი, ვინაც მონტე-კარლოს ბინადარია, ზედიზედ მეორედ ხდება მსოფლიოს ჩემპიონი. წელს მან 12 ეტაპზე 7 დიდი პრიზი მოიგო — ავსტრალიაში, მალაიზიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ბრიტანეთსა და არგენტინაში.

ემზარ არაყიშვილი


ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში" გაიხსნა

საჩოგბურთო სკოლა «მ ზ ი უ რ ი»



სწავლებას უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია. ბავშვებთან იმუშავებენ კვალიფიციური ინსტრუქტორები.

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას (ჭავჭავაძის I ჩიხი, ბავშვთა ქალაქი „მზიური", ჩოგბურთის კორტები).
ტელ.: 23-01-49



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე (ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29